



ს ა მ ა რ თ ა დ ი
ფ ს ი ა ტ დ მ ბ ი ა
ვ ე რ ა ბ მ ბ ი ა




**ПРАВО • ПСИХОЛОГИЯ •
ПЕДАГОГИКА**

LAW • PSYCHOLOGY • PEDAGOGICS

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემი საბჭო
საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემი საბჭო

საბჭოთა უნივერსიტეტის გამომცემი საბჭო
ТБИЛИСИ 1975 TBILISI



სამართალი • ფსიქოლოგია • კვლეობა

სარედაქციო კოლეგია

გ. კეჩხუაშვილი (რედაქტორი), ა. ბაინდურაშვილი, ვ. კობახიძე, რ. შენგელია, ა. ფალიაშვილი, შ. დონაძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Г. Н. Кечхуашвили (редактор), А. Г. Баиндурашвили, В. С. Кобакхидзе, Р. В. Шенгелия, А. Палиашвили, Ш. Т. Донадзе.


EDITORIAL BOARD

G. Kechkhuashvili (editor), A. Baidurashvili, V. Kobakhidze, R. Shengelia, A. Paliashvili, Sh. Donadze (secretary)

Труды Тбилисского университета, начиная со 160-го тома, будут выходить только под одним нарастающим номером (общая нумерация с основания «Трудов» по и/время).

თბილისის უნივერსიტეტის შრომები, დაწყებული 160-ე ტომიდან, აღინიშნება მხოლოდ ერთი — მზარდი ნომრით (საერთო ნუმერაცია „შრომების“ დაარსებიდან დღემდე).

From volume 160 Proceedings of Tbilisi University will be issued under only one increasing number (general numeration from the foundation of "Proceedings" up-to-now).



აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის შემუშავების შესახებ

ბრიგოლ ერემოვი

საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ყველაზე გვიან საქართველოში დამყარდა. ეს იყო 1921 წლის 25 თებერვალს. ამ დღეს მშრომელებმა XI წითელი არმიის დახმარებით საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, აიღეს ძალაუფლება. მენშევიკურმა მთავრობამ თბილისი დატოვა, მაგრამ იგი ბრძოლით იხვედა უკან, ბათუმისაკენ.

4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აფხაზეთში, 5 მარტს — სამხრეთ ოსეთში, ხოლო 18 მარტს — აჭარაში.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით კი — საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ამიერკავკასიაში.

1921 წლის 14 თებერვალს შეიქმნა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობასა და ნ. აკირტავას შემადგენლობით. იმავე წლის 17 თებერვალს ს. ორჯონიკიძემ გაგზავნა დეპეშა, აფხაზეთის რევკომის წევრის ნ. აკირტავას სახელზე, წითელი არმიის მზადყოფნის შესახებ აჯანყებული აფხაზი მშრომელებისადმი დახმარებისათვის [1].

აფხაზეთის რევკომმა იმავე წლის 20 თებერვალს აფხაზ ხალხს მოუწოდა იარაღისაკენ, საქართველოს აჯანყებული მშრომელებისადმი დასახმარებლად, მენშევიკური მთავრობის დასამხობად ([1] 177).

1921 წლის 24 თებერვალს მთელს აფხაზეთში დაიწყო მშრომელთა აჯანყება, რის შესახებაც აფხაზეთის რევკომის წევრმა ნ. აკირტავამ აცნობა ქ. ბაქოში ამხ. ს. ორჯონიკიძეს.

აფხაზი ხალხის დასახმარებლად დაიძრა ყუბანის წითელი მე-11 არმიის 31-ე დივიზია, მისი 271, 272, 274, 275—279 და სხვა პოლკები. 4 მარტს დილის 6 საათზე 31-ე დივიზიის ნაწილებმა დაიკავეს ქ. სოხუმი ([1] 192).

იმავე დღესვე აფხაზეთის რევკომმა დეპეშით მიმართა ვ. ი. ლენინს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა რუსეთი უარს არ ეტყვის მას საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმე დღეებში ძმურ დახმარებაზე [2].

1921 წლის 10 მარტს კი აფხაზეთის რევკომმა დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს მთელს აფხაზეთში მშრომელთა მიერ წითელი დროშის აღმართვის შესახებ, ასევე, იმავე დღესვე ანალოგიური შინაარსის დეპეშა გაგზავნილ იქნა საქართველოს რევკომისადმიც ([2] 16).

აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა [3] 1921 წლის 31 მარტს ვ. ი. ლე-

ნინს, ი. ბ. სტალინს და გ. ვ. ჩიჩერინს რადიოთი აცნობა, რომ „მშრომელთა ნებით იშვა ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აფხაზეთი...“

მიმართვაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ „...პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა წითელი არმიის დიადი განმათავისუფლებელი როლის თვალსაჩინო მაგალითია და წარმოადგენს ახალ სილას, რომელიც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ გააწნა მცირე ხალხთა მჩაგვრელებს — ყველა ქვეყნის იმპერიალისტებსა და მათ ლაქიებს — სოციალ გამცემლებს. ახალგაზრდა საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნით დიდ მუშურ-გლეხურ ქვეყანას — საბჭოთა რუსეთს, ყველა საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენ იმედს ვამყარებთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მხარდაჭერაზე და რწმენას გამოვთქვამთ, რომ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა მათთან კავშირში ღირსეულად დაიცავს რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლუციის დიად მონაპოვრებს და დანმარებას გაუწევს სოციალისტური რევოლუციის საქმეს მთელს მოსოფლიოში“ [4].

ამ დღიდან ახალი ერა დაიწყო აფხაზი ხალხის ცხოვრებაში. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს თვითგამორკვევის საფუძველზე მიეცათ ავტონომიური უფლებანი ამა თუ იმ ფორმის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბების გზით.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აუცილებელი გახდა მისი კონსტიტუციის შემუშავება. მანამდე აფხაზეთს არ ჰქონია არავითარი კონსტიტუცია.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში, კერძოდ, აფხაზეთის მშრომელები უკიდურესად შეზღუდული იყვნენ. მაგრამ, რადგანაც მენშევიკური საქართველო „დემოკრატიული“ რესპუბლიკა იყო, ამიტომ ფორმალურად აფხაზეთში „სახალხო საბჭო“ არსებობდა. 1920 წლის 16 ოქტომბერს, იმ პერიოდში, როდესაც დამფუძნებელ კრებაზე იხილებოდა მენშევიკური საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, აფხაზეთის „სახალხო საბჭომ“ მიიღო ე. წ. „ავტონომიური“ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი. ამ კონსტიტუციის პროექტის შესავალ ნაწილში ჩაწერილი იყო, რომ — თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის 120 და 121 მუხლებისა, აფხაზეთის „სახალხო საბჭომ“ 1919 წლის 20 მარტს მიიღო აქტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი ავტონომიური ერთეულის სახით უნდა შევიდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ აქტის შესაბამისად კი შემუშავებულია ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტიო.

აღნიშნული პროექტი გაგზავნილ იქნა 1920 წლის 29 ოქტომბერს, № 813 მიმართვით, საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე დასამტკიცებლად, რისთვისაც აფხაზეთის „სახალხო საბჭომ“ გამოგზავნა თავისი წარმომადგენლები 9 კაცის შემადგენლობით.

ეს კონსტიტუციის პროექტი შედგებოდა 6 თავისა და 45 მუხლისაგან [5].

ამ კონსტიტუციის პროექტს იგივე ბედი ეწია, რაც სამხრეთ ოსეთის ე. წ. „კანტონის“ და სხვა კონსტიტუციის პროექტებს, ისინი ფარატინა ქალაქად დარჩნენ.

დამფუძნებელ კრებაზე ნ. ჟორდანიამ მოითხოვა ჯერ საქართველოს კონსტიტუციის დამტკიცება, ხოლო შემდეგ კი მისი ნაწილის — აფხაზეთის კონსტი-



ტუციის პროექტზე მსჯელობა [6]. ამით ფაქტიურად უარყოფილ იქნა მთლიანად დელი აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი.

მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში შეიქმნა ერებს შორის მშვიდობის დაცვის, მათთვის ავტონომიური უფლებების მინიჭების შესაძლებლობა.

1922 წლის 10 ივლისს გაიხსნა აფხაზეთის სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის ცაკ-ის სესია, რომლის მეოთხე სხდომაზეც დაისვა საკითხი აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის პროექტის განხილვის შესახებ. სესიაზე წარმოდგენილი იყო კონსტიტუციის ორი პროექტი აფხაზეთის ცაკ-ისა და აფხაზეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ. ორივე პროექტის განხილვა გადაიდო იმ მიზნით, რათა იგი დამუშავებულიყო ჯერ ქვემდგომ ინსტანციებში. ცაკ-ის სესიის მიერ არჩეულ იქნა საქონსტიტუციო კომისია ი. მარდანიას, მ. ცაგურიას და ნ. აკირტავას შემადგენლობით [7].

ჩანს, ამ პერიოდში ჯერ ნაადრევი იყო აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავება და ამიტომ ხანგრძლივი ვადით გადაიდო იგი.

1924 წლის 26 ივნისის აფხაზეთის ცაკ-ის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი აფხაზეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ (ოქმი № 21). პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის სსრ სახკომსაბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას, რათა სასწრაფოდ შეემუშავებინა აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია და წარედგინა აფხაზეთის ცაკ-ის დასამტკიცებლად [8].

მეორე დღეს (ე. ი. 27 ივნისს) აფხაზეთის სახკომსაბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის სახელზე ცაკ-ის პრეზიდიუმში აგზავნის ამ დადგენილების ამონაწერს მიმართვა № 844-ით. აფხაზეთის ცაკ-ი საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიისადმი მიმართვისას მოითხოვდა, რომ აფხაზეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუცია შემუშავებულიყო საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე*.

კონსტიტუციის პროექტი რამდენჯერმე იქნა განხილული აფხაზეთის ცაკ-ის პრეზიდიუმის, აგრეთვე აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანოების მიერ და, ბოლოს, წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე.

კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. ჭანბა. აფხაზეთის სსრ საბჭოების მესამე ყრილობა გაიხსნა 1925 წლის 26 მარტს და გაგრძელდა 1 აპრილამდე. ყრილობის უკანასკნელ დღეს მეთერთმეტე სხდომაზე დამტკიცებულ იქნა აფხაზეთის სს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია [9].

კონსტიტუცია შედგებოდა 21 თავისა და 116 მუხლისაგან. კონსტიტუცია აფხაზეთის საბჭოთა-სოციალისტურ რესპუბლიკას აცხადებს სუვერენულ სახელმწიფოდ, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნად, რომლის ამოცანას შეადგენს სოციალისტური საზოგადოების აგება.

კონსტიტუციაში საქართველოს რესპუბლიკასთან ურთიერთობის შესახებ ლაპარაკია მხოლოდ ერთ (მე-4) მუხლში. აქ მითითებულია იმის შესახებ, რომ აფხაზეთის სს რესპუბლიკა ერთიანდება რა საქართველოსთან განსაკუთრებული

* აქ იგულისხმება საქართველოს სსრ პირველი (1922 წ.) კონსტიტუცია (აფხაზეთის ასსრ ცენტრ. არქივი, ფონდი 2, № 233, ფ. 95).



ხელშეკრულების საფუძველზე, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სსრ-ში და ამ უკანასკნელის შემადგენლობით კი — სსრ კავშირში.

კონსტიტუციაში ცალკეული თავებია მიძღვნილი აფხაზეთის სსრ საბჭოების ყრილობის, ცაკ-ის პრეზიდიუმის, სახალხო კომისართა საბჭოს, ადგილობრივი ორგანოებისა და სასამართლო ორგანოების შესახებ, მათი ორგანიზაციის, ურთიერთდამოკიდებულებისა და უფლებრივი ფარგლების შესახებ (4—16 თავები) [10].

აფხაზეთის სსრ 1925 წლის 1 აპრილის კონსტიტუციის ტექსტი გამოქვეყნებული არ ყოფილა [11], მიუხედავად ამისა, მას სამართლის დარგში მომუშავე მეცნიერ მუშაკნი იმ პერიოდში მაინც იხსენიებდნენ [12] *.

აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის მიღებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1926 წლის 1 აპრილს, აფხაზეთის ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ განხილულ იქნა საკითხი აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის პროექტის შემუშავებული კომისიის შედგენის შესახებ (ოქმი № 37). კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნა ხუთი წევრი გადამწყვეტი ხმის უფლებით (ს. ჭანბა, ნ. ლაკობა, სტურუა, ნ. აკირტავა და ი. მარღანია) და ორი სათათბირო ხმის უფლებით (ზახაროვი, გ. ზუხბაი), როგორც საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის წარმომადგენელი. კომისიის სხდომის მოწვევა დაეკისრა ამხ. ნ. ლაკობას [13].

ეს იყო პერიოდი, როდესაც სსრ კავშირსა და ამიერკავკასიის სსრ კონსტიტუციათა საფუძველზე მუშავდებოდა სრულიად საქართველოს სსრ ახალი (მეორე) კონსტიტუცია. როგორც ცნობილია, იგი გაამზადა სრულიად საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმმა და წარადგინა დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს სსრ მესამე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიაზე. სესიამ იგი დაამტკიცა 1926 წლის 5 ივლისს. დასახელებული სესია ჩატარდა აფხაზეთის სსრ დედაქალაქ სოხუმში.

სესიის დადგენილებით, კონსტიტუციის ტექსტი საბოლოოდ დასამტკიცებლად უნდა წარდგენოდა სრულიად საქართველოს საბჭოების მეოთხე ყრილობას, მანამდე კი სესიის მიერ ითვლებოდა „დამტკიცებულად და სამოქმედოდ შემოღებულად“, ამიტომ საბჭოების მეოთხე ყრილობის მოწვევამდე საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია გამოქვეყნებულ იქნა.

ცაკ-ის სესიის დასახელებულ დადგენილებაში ჩაიწერა აგრეთვე იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გადამუშავებს აფხაზეთის სსრ კონსტიტუციას იმ პრინციპების მიხედვით, რაც საფუძველად დაედო საქართველოს სსრ კონსტიტუციას“ [14].

ამ დადგენილებით აღიარებულია აფხაზეთის უკვე არსებული (1925 წლის 1 აპრილის) კონსტიტუციის იურიდიული ძალა, რომ იგი არსებობს და უნდა გადამუშავდეს. მაშასადამე, უკვე უნდა შემუშავებულიყო აფხაზეთის სსრ მეორე კონსტიტუცია.

ამის შესაბამისად, აფხაზეთის სსრ საკონსტიტუციო კომისიამ გაშალა თავისი მუშაობა. აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია განიხილა აფხაზეთის სსრ მესამე მოწვევის ცაკ-ის მესამე სესიამ და 1926 წლის 27 ოქტომბერს დაამტკიცა იგი...

* დასახ. წერილის ავტორი უთითებს, რომ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია დამტკიცებულია 1925 წლის აპრილში (იხ. დასახ. ჟურნალის გვერდი 133).



ამ დღიდან კონსტიტუცია ძალაში შევიდა, თუმცა საბოლოოდ დასამტკიცებლად ცაკ-ის სესიამ იგი გადასცა აფხაზეთის სსრ საბჭოების IV ყრილობას [15].

აფხაზეთის სსრ ცაკ-ის დასახელებული სესიის დადგენილებაში „აფხაზეთის სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) დამტკიცებისა და მოქმედებაში შეყვანის შესახებ“ ჩაწერილი იყო: „აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექსტი აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ძირითადი კანონისა (კონსტიტუციის) შეტანილი ცვლილებებით და შევსებით დამტკიცდეს და მოქმედებაში შეყვანილ იქნეს.

აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპ. ცაკ-ის ამა სესიის მიერ მიღებული ტექსტი აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა (კონსტიტუციის) შეტანილ იქნას საბოლოოდ დამტკიცებისათვის აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე“ [16].

აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია იმავე წელს გამოქვეყნდა ცაკ-ის სამდივნოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთის სსრ საბჭოების IV ყრილობაზე მის გატანამდე.

1926 წლის 8 დეკემბერს აფხაზეთის სსრ-ის სამდივნომ (ოქმი № 6) მოისმინა საკითხი 1926 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის სსრ მესამე მოწვევის ცაკ-ის მესამე სესიის მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის ტექსტის განმხილველი სარედაქციო კომისიის შესახებ.

სამდივნომ შექმნა სარედაქციო კომისია 5 კაცის (პ. გეგელიას, ი. მარღანიას, გ. ზუზბაის, მამულაშვილის და ა. სალაგიოვის) შემადგენლობით. კომისიის მოწვევა დაევალა პ. გეგელიას [17].

კომისიას დაეკისრა კონსტიტუციის ტექსტის დაზუსტება და მისი მომზადება აფხაზეთის სსრ საბჭოების IV ყრილობაზე წარსადგენად.

აფხაზეთის სსრ საბჭოების IV ყრილობა გაიხსნა 1927 წლის 5 მარტს და დამთავრდა 10 მარტს.

ყრილობის მეოთხე სხდომაზე 1927 წლის 7 მარტს მოსმენილ იქნა ს. ჭამბას მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

როგორც საარჩევო მასალებიდან ჩანს, საკონსტიტუციო კომისიამ დაზუსტებული კონსტიტუციის პროექტი წარადგინა აფხაზეთის ცაკ-ის პრეზიდიუმში, ხოლო პრეზიდიუმმა კი იგი ჯერ გაიტანა ცაკ-ის სესიაზე, ხოლო შემდეგ, ცაკ-ის სესიის დადგენილებით, აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობაზე. ყრილობამ, როგორც ითქვა, 1927 წლის 7 მარტს საბოლოოდ დამტკიცა აფხაზეთის სსრ ახალი (ფაქტიურად მეორე) კონსტიტუცია [18].

აფხაზეთის სსრ მესამე მოწვევის ცაკ-ის მესამე სესიის მიერ 1926 წლის 27 ოქტომბერს მიღებული და აფხაზეთის სსრ საბჭოების IV ყრილობის მიერ 1927 წლის 7 მარტს საბოლოოდ დამტკიცებული აფხაზეთის სსრ სახელმწიფოს ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) შედგებოდა 7 თავისა და 103 მუხლისაგან.

აფხაზეთის სსრ კონსტიტუციამ მთლიანად გაიზიარა პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპები და განსაზღვრა თავისი ადგილი სსრ კავშირში, ამიერკავკასიის სფსრ-ში და საქართველოს სსრ-ში.

ეს, როგორც ითქვა, აფხაზეთის რესპუბლიკის მეორე კონსტიტუცია იყო.

კონსტიტუცია საერთოდ უცვლელი დოკუმენტი არ არის. საბჭოთა კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანა ქვეყნის ზრდისა და განვითარების შედეგია.



აფხაზეთის რესპუბლიკის მიღწევათა და გარდაქმნათა შედეგად პირობები მისი ახალი (მესამე) კონსტიტუციის მიღებისა.

აფხაზეთის ასსრ საბჭოების VII ყრილობის (1935 წ. 2—7 იანვარი) მე-10 სხდომაზე 1935 წლის 7 იანვარს მოხსენილ იქნა მოხსენება აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ (მომხსენებელი აფხაზეთის ცაკ-ის მდივანი ვ. ვ. გრიგორიევი).

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია შესწორებათა და დამატებათა შედეგად წარმოდგენილ იქნა 6 თავისა და 85 მუხლის მოცულობით.

1935 წლის 7 იანვარს საღამოს, მეშვიდე ყრილობის მე-11 სხდომაზე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ახალი პროექტი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

აფხაზეთის ასსრ საბჭოების მე-7 ყრილობაზე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის დამტკიცებისას დადგენილებაში ჩაიწერა, რომ, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლისა, დამტკიცებულ იქნას აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის შეცვლილი ტექსტი და წარდგენილ იქნას იგი საბოლოოდ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ცაკ-ში და საქართველოს სსრ საბჭოების ყრილობაზე [19].

აღსანიშნავია, რომ ახალი კონსტიტუციის ტექსტი აფხაზეთის ასსრ-ში აღარ გამოქვეყნებულა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის არის, რომ იმავე (1935) წლის 1 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დაისვა საკითხი სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანისა და ახალი კონსტიტუციის შემუშავების შესახებ. პარტიის ცკ-ის პლენუმის მითითებათა საფუძველზე სსრ კავშირის საბჭოების მე-7 ყრილობამ 1935 წლის 6 თებერვალს მიიღო დადგენილება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავების შესახებ, ხოლო მეორე დღეს, ე. ი. 7 თებერვალს სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის ცაკ-ის პირველმა სესიამ გამოჰყო კიდევ საკონსტიტუციო კომისია.

ასეთ პირობებში გასაგებია, რომ სსრ კავშირში შემავალი სოციალისტური რესპუბლიკები უნდა ცდილიყვნენ შემუშავებინათ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე თავიანთი კონსტიტუციები, ხოლო სსრ კავშირისა და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა საფუძველზე კი უნდა შემუშავებულიყო ავტონომიური სს რესპუბლიკების კონსტიტუციები.

სსრ კავშირის ახალი (1936 წლის 5/12-ის) კონსტიტუციის მე-16 მუხლის შესაბამისად საჭირო იყო სსრ კავშირში შემავალ ყოველ მოკავშირე სს რესპუბლიკას შეემუშავებინა თავისი კონსტიტუცია.

ეკრძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი (რიგით მესამე) კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1937 წლის 13 თებერვალს, დაამტკიცა იგი საქართველოს სს რესპუბლიკის საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობამ*.

როგორც ცნობილია, ყოველ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელსაც ლეზულობს იმავე ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — უმაღლესი საბჭო, მაგრამ, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს იმ მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფ-

* საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა საქართველოს სსრ საბჭოების პირველი ყრილობის მიერ 1922 წლის 2 მარტს, ხოლო მეორე კონსტიტუცია კი საბჭოების მე-4 ყრილობის მიერ 1927 წლის 4 აპრილს.

ლების უმაღლესი ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ეს ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ეს დებულება ფიქსირებულია ყველა ავტონომიური სსრ-ის კონსტიტუციებში. აი, სწორედ ამ მიზნით, საქართველოს სსრ ახალი (1937 წლის) კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩაიწერა, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით „ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ების კონსტიტუციებს“.

მას შემდეგ, როდესაც დამტკიცდა სსრ კავშირის კონსტიტუცია და საყოველთაო სახალხო განსახილველად გამოქვეყნდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი, აფხაზეთის ასსრ ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო საკონსტიტუციო კომისია (თავმჯდომარე ა. ს. აგრბა).

1937 წლის 1 ივლისს შედგა აფხაზეთის ასსრ საკონსტიტუციო კომისიის სხდომა. დაესწრო 15 წევრი; კომისიაზე მოსმენილ იქნა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

საკონსტიტუციო კომისიამ დაადგინა — შეტანილ იქნას აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი აფხაზეთის ასსრ ცაკის პრეზიდიუმში. კომისიამ აგრეთვე დაადგინა, კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდეს აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე [20] *.

აფხაზეთის ასსრ ცაკ-ის პრეზიდიუმმა განიხილა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი 1937 წლის 3 ივლისს, რომელმაც დადგენილებაში ჩაწერა: 1. მოწონებულ იქნას აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი, შემუშავებული აფხაზეთის ასსრ ცაკის საკონსტიტუციო კომისიის მიერ.

2. წარდგენილ იქნას განსახილველად და დასამტკიცებლად აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი აფხაზეთის ასსრ საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე [21].

იმავე წლის 5 ივლისს აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნებულ იქნა საყოველთაო სახალხო განსახილველად.

1936 წლის 3 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ ცაკ-მა მიიღო დადგენილება აფხაზეთის ასსრ საბჭოების მე-8 ყრილობის მოწვევის შესახებ, ყრილობის მოწვევის ვალა დაინიშნა—1936 წლის 10 ნოემბერი [22].

აფხაზეთის ასსრ საბჭოების მე-8 ყრილობა ჩატარდა 1936 წლის 12 ნოემბერს, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგები აფხაზეთის ასსრ-ში და აირჩია თავისი დელეგატები საქართველოს სსრ საბჭოების მე-8 ყრილობაზე დასასწრებად. ჩატარდა მე-8 ყრილობის მხოლოდ ორი სხდომა.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში ახალი კონსტიტუციის მიღებამდე არჩევნები აღარ უნდა ჩატარებულიყო, საბჭოების მერვე ყრილობის იფვე შემადგენლობით 1937 წლის 30 ივლისს მოწვეულ იქნა საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის მესამე სხდომა.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა აფხაზეთის ასსრ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის (ა. აგრბას) მოხსენება აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ. ყრილობაზე მოხსენება თარგმნა მეგრულ ენაზე ვ. შონიამ.

მომხსენებელი ლაპარაკობდა აფხაზეთის ისტორიაზე ადრინდელი დროი-

* ყრილობაზე დამტკიცებული კონსტიტუციის ახალი ტექსტი იხ. არქივი, ფ. 384—408.



დან. იგი შეეხო აგრეთვე საბჭოთა აფხაზეთის კონსტიტუციის განკარგობას [23].

მოხსენების ირგვლივ ყრილობაზე კამათში მონაწილეობა მიიღო მრავალმა დელეგატმა.

1 აგვისტოს ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც შეიტანა წინადადება, რათა ცაკის საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი მოწონებულ და მიღებულ იქნას საფუძვლად.

ეს წინადადება აფხაზეთის საბჭოების საგანგებო მერვე ყრილობამ მიიღო და, ამავე დროს, გამოჰყო აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის დადგენისათვის სარედაქციო კომისია 42 კაცის შემადგენლობით.

ყრილობამ კომისიას დაავალა გაითვალისწინოს კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვისა და მისი ყრილობაზე განხილვის შედეგებზე და ერთი დღის განმავლობაში დაზუსტებული ტექსტი წარმოადგინოს დასამტკიცებლად [24].

მეორე დღეს, ე. ი. 2/VIII ყრილობის სარედაქციო კომისიამ წარმოადგინა კონსტიტუციის პროექტის უკანასკნელი ვარიანტი, დაზუსტებული სახით.

ყრილობაზე სამი დებუტატი — ა. აგბა, ხატიაშვილი და ხაშბა — კითხვობდნენ კონსტიტუციის ყოველ მუხლს აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. კონსტიტუციის ყველა მუხლი ერთხმად იქნა მიღებული.

საბოლოოდ აფხაზეთის საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობამ მიიღო დადგენილება, დამტკიცდეს სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი.

ყრილობამ მიიღო მეორე დადგენილებაც — „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომლითაც აფხაზეთის ასსრ ცაკ-ს დაევალია, რათა უახლოეს ხანში შეიმუშაოს დებულება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ და დააწესოს დრო უმაღლესი საბჭოს არჩევისა*.

ყრილობაზე მიღებული კონსტიტუციის ტექსტს ხელს აწერს აფხაზეთის ასსრ საბჭოების საგანგებო მერვე ყრილობის პრეზიდიუმის ყველა წევრი.

კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი გაზეთებში გამოქვეყნებულ იქნა 1937 წლის 4 აგვისტოს [25]**.

ამრიგად, აფხაზეთის ასსრ საბჭოეთის საგანგებო მე-8 ყრილობამ (1937 წლის 30 ივლისი — 2 აგვისტო) შეასრულა თავისი ისტორიული მისია, მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება როგორც სსრ კავშირის, ისე საქართველოს სსრ კონსტიტუციებს და ამავე დროს ითვალისწინებს თავისი ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1938 წლის 9 ივლისს.

ახალი კონსტიტუცია შედგება 11 თავისა და 114 მუხლისაგან. კონსტიტუციით შეიქმნა აფხაზეთის ასსრ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა

*ყრილობის ორივე ეს დადგენილება ზედ ერთვის კონსტიტუციის იმ ტექსტს, რომელიც ქართულ, რუსულ და აფხაზურ ენებზე იქნა გამოქვეყნებული 1937 წ. ბოლოს და 1938 წელს.

** ამავე გაზეთში გამოქვეყნებულია აფხაზეთის ასსრ საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის ზემოაღნიშნული დადგენილებანი.

ახალი სისტემა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი შექმნა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მმართველობის უმაღლესი (სახალხო კომისართა საბჭო, 1947 წლიდან მინისტრთა საბჭო), ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები (მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები), სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოთა ერთიანი სისტემა.

კონსტიტუციით განისაზღვრება რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები, მოქალაქეთა ახალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და პირადი უფლებები. დადგინდა ახალი საარჩევნო სისტემა — საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. კონსტიტუცია ამავე დროს ყოველი მოქალაქისაგან მოითხოვს სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, სამშობლოს დაცვას, სამხედრო ვალდებულებათა შესრულებას, სოციალისტური საკუთრების დაცვას და ა. შ.


ამრიგად, აფხაზეთის ასსრ ოთხი კონსტიტუციაა ცნობილი (1925 წლის 1/4-ის, 1926 წ. 27/10-ის, 1935 წ. 7/1 და 1937 წ. 2/8-ს), რომელთაგან პირველი და მესამე არ გამოქვეყნებულა.

აფხაზეთის ასსრ მშრომელები, ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე, ქართველ და სსრ კავშირის მრავალ ათეულ ერებთან და ხალხებთან ერთად თანამშრომლობით ქმნიან უკეთეს მომავალს — აგებენ კომუნისმს.

სახელმწიფო სამართლის
კათედრა

ლიტერატურა

1. Борьба за Советскую власть в Абхазии, Сборник документов и материалов (1917—1921), 1957, стр. 174.
2. Укрепление советской власти в Абхазии. Сборник документов и материалов (1921—1925), 1957, стр. 13.
3. იბ. გზ. «Голос трудовой Абхазии», 18/II, 1922 г., № 40 и 22/II, 1922 г., № 43 (179).
4. Борьба за советскую власть в Абхазии, Сборник документов (1917—1921), 1957, стр. 200; Укрепление советской власти в Абхазии, Сухуми, стр. 25.
5. საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 16, ს. 790, ფ. 1—7.
6. ფ. მახარაძე, მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში, 1921 წ., გვ. 89.
7. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, Ф. 1, Опись, № 2, Архив № 5, л 62.
8. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური არქივი, ფონდი 2, არქივი ნ. 233, ფურცელი 94.
9. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური არქივი, Ф. 1, Опись, 2, Архив № 17, л.л. 214, 215.
10. კონსტიტუციის სრული ტექსტი იბ. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 2, ს. 233, ფ. 108—113, აგრეთვე 174—184 და 270—274.
11. კონსტიტუციის ტექსტი, იბ. Центральный Госархив Абхазской АССР, ф. 2, д. 233, лл. 108, 109, 110, 111, 112, 113.
12. И. Н. Ананов, Заметки по современному государственному строю Закавказья, журн. «Советское право», № 2 (14), 1925.
13. აფხაზეთის ასსრ იგივე არქივიდან, ფ. 2. არქივი № 233, ფ. 63.
14. საქართველოს სსრ ცაკ-ის დადგენილება დანართის სახით იბ. საქართველოს სსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1932, გვ. 4.



15. აფხაზეთის სსრ ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1926 წ.
16. იხ. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), აფხაზეთის სსრ ცაკის სამდივნოს გამოცემა, 1926 წ., 1.
17. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1, Опись, 1, Архив 438, л. 24.
18. აფხაზეთის ასსრ დასახელებული არქივი, ფ. 1, Опись, 2, Архив № 35, л.л. 55—57, 231—232.
19. აფხაზეთის ასსრ არქივი, ფ. 2, არქივი № 223, ფ.ფ. 115—136.
20. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1, Опись, 2, მ. 1034, л. 142.
21. აფხაზეთის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 2, Опись, 3, Архив № 132, л. 1.
22. «Советская Абхазия», 5/VII, 1937 г., № 152 (4798).
23. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება მთლიანად დაბეჭდილია გაზეთში «Советская Абхазия», 1/VIII, 1937 г., № 174 (4820), стр. 1—2.
24. გაზ. «Советская Абхазия», 2/VIII—1937 г., № 175 (4821).
25. გაზ. «Советская Абхазия», 4/VIII, 1937 г., № 177 (4823).

Г. А. ЕРЕМОВ

О РАЗРАБОТКЕ КОНСТИТУЦИИ АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

В Абхазии советская власть установилась 4 марта 1921 года.

Первая Конституция Абхазской ССР была утверждена на III съезде Советов Абхазской ССР 1 апреля 1925 года.

27 октября 1926 года на третьей сессии ЦИК Абхазской ССР третьего созыва была принята новая (вторая) Конституция Абхазской ССР и для окончательного утверждения передана IV съезду Советов республики. Съезд утвердил Конституцию 7 марта 1927 года.

Указанная Конституция была составлена на основе второй Конституции Грузинской ССР.

7 января 1935 года VII съезд Советов Абхазской АССР утвердил новую (третью) Конституцию Абхазской АССР.

В результате победы социализма в нашей стране, на основе Конституции РСФСР (5/XII 1936 г.) и Конституции Грузинской ССР (13/II 1937 г.) 2 августа 1937 года чрезвычайный VIII съезд Советов Абхазской АССР утвердил новую (четвертую) Конституцию Абхазской АССР.

G. EREMOV

ON THE DRAFTING OF THE CONSTITUTION OF THE ABKHAZIAN ASSR

Summary

In Abkhazia Soviet Power was established on 4 March, 1921.

The first Constitution of the Abkhazian SSR was endorsed at the third Congress of Soviets of the Abkhazian SSR (1 April, 1925).

At the third session of the Central Executive Committee 27 October 1926 a new (second) Constitution of the Abkhazian SSR was adopted, and the IVth Congress of Soviets of the Abkhazian SSR gave its final confirmation of the Constitution on 7 March, 1927. This Constitution was

written on the basis of the second Constitution of the Georgian SSR.

On 7 January 1935 the VII th Congress of Soviets of the Abkhazian ASSR endorsed a new (third) Constitution of the Abkhazian ASSR.

As a result of the victory of Socialism in our country, on 2 August, 1937 the VIII Extraordinary Congress of Soviets of the Abkhazian ASSR confirmed a new (fourth) Constitution of the Abkhazian ASSR on the basis of the Constitution of the USSR (5 December, 1936) and the Constitution of the Georgian SSR (13 February, 1937).

**ვახტანგ VI კანონთა კრებულის S—3683 ხელნაწერის
დაწერის ვინაობის შესახებ**

მიხეილ კეკელია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ვახტანგ VI კანონთა კრებულის ერთი უნიკალური ხელნაწერი (S—3683). მისი გადამწერის ვინაობა დღემდე უცნობია.

კრებულიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საკუთრივ ვახტანგ VI სამართლის წიგნის 204-ე მუხლის შემდგომი რამდენიმე ფურცელი (გვ. 329r—334v), რომელიც ამავე კრებულზე დართულ ზანდუკ-საძიებლის დამწერის, მდივან-მწიგნობარ სოლომონ მაღალაძის მიერაა დაწერილი.

ს. მაღალაძის ესოდენ სიახლოვე ხელნაწერთან ეჭვს ბადებს: კრებულის ძირითადი ტექსტიც მის მიერ ხომ არაა გადაწერილი? *

საკითხის გარკვევას გრაფიკული ნიშნების მსგავსება-განსხვავების პოვნით შევეცადეთ. ამისათვის ს. მაღალაძის ხელიდან გამოსული მასალა (ზანდუკ-საძიებელი, ვახტანგის სამართლის წიგნის ბოლო ფურცლები და საარქივო საბუთები) ** შევეუდარეთ შესასწავლი კრებულის ტექსტს.

დასკვნა დავამყარეთ არა მარტო ცალკეულ ასოთა მოხაზულობისა თუ გადაბმის დამთხვევებზე, არამედ მთელ რიგ სიტყვათა წერის იდენტურობაზე.

ს. მაღალაძე ცნობილია, როგორც უბადლო კალიგრაფი, რომელიც ასოთა დეკორატიულად გამოყვანით ხასიათდება, რაც უმეტესად „ა“-ს, „ო“-ს, ასევე ხაზქვეშა ასოების „ლ“-ს, „დ“-ს ხაზს ზემოთ ვირტუოზულ ატყორცნაში მდგომარეობს. ასევე, ს. მაღალაძეს მეტად დამახასიათებლად ჩააქვს ხაზის ქვემოთ ასო „ი“. სწორედ წერის ეს ნიუანსები წარმოადგენენ ს. მაღალაძის ინდივიდუალურ ხელწერის მთავარ კომპონენტს.


უნდა ითქვას ისიც, რომ მეტად განსხვავებულაა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემდგენ-გადამწერის მდივან-მწიგნობრის — სოლომონ მაღალაძის ხელი, ყოველდღიურად მოსაქმე მწერალ სოლომონ მაღალაძის ხელისაგან.

პირველ შემთხვევაში, თუ იგი გვევლინება ვირტუოზული დეკორატიული ხელით, სხვა დროს ჩვეულებრივი, სხვათაგან თითქმის განურჩეველია.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ საქართველოს კათალიკოსის მდივან-მწიგ-

* კრებულში შემდეგი დასათაურებითაა შეტანილი როგორც უცხოური, ისე ქართული წარმოშობის სამართლის წიგნები: მოსეს, ბერძნული, სომხური, კათალიკოზთა, გიორგი ბრწყინვალის, ბექა აღბუღას და ვახტანგ ბატონიშვილის.

** დავას არ იწვევს, რომ შესრულებულია ს. მაღალაძის მიერ.



ნობარი ს. მაღალაძე მიზნის შესაბამისად აღწევს „ნამოღაწარის“ გარდასახვას უფრო მეტიც, ს. მაღალაძის მიერ შესრულებული ჩვენამდე მოღწეული ცალკეული საბუთებიდანაც კი ჩანს მაღალაძის „სხვადასხვა ხელი“. მაგალითად: 1702 წლით დათარიღებულ ერთ წყალობის წიგნს, იგი ცნობილი მწიგნობრის ს. მაღალაძის შესაფერი ხელით იწყებს, მაგრამ იქვე, იმავე გვერდზე, თითქოს სხვა ავრძელებსო და ბოლოს, კიდევ უფრო მდარედ, ამთავრებს [1].

მსგავსი მდგომარეობაა სხვა საბუთებშიც [2].

ვახტანგის სამართლის წიგნის 215-ე მუხლის შემდგომი მუხლები, ერთი ნაწილი ს. მაღალაძისეულადაა მიჩნეული (ს. გორგაძე). მაგრამ აქაც შეიმჩნევა ბოლომდე წერის ერთგვარი სტილის დაუცველობა (გვ. 229r—336v).

ამდენად გარკვეულ პაუზას, რომელიც ტექსტის ძირითადი ნაწილის დაწერას აცილებს 204-ე მუხლის შემდგომი მუხლებისაგან * არ შეიძლება მათი სხვადასხვა ხელიდან წარმომავლობის შთაბეჭდილება არ შეექმნა.

მიუხედავად თქმულისა, ს. მაღალაძის „ხელში“ მაინც არ იკარგება ზოგი მეტად სპეციფიურობით განპირობებული ინდივიდუალური წერის ნიშნები, რაც ასოების მაღალაძისეულ გამოყენებაში (ხაზს ზემოთ ატყორცნაში თუ ქვემოთ ჩართვაში) მდგომარეობს.

სწორედ ეს ნიშნებია, რომლის წყალობითაც არამცთუ ცალკეული ასოები, არამედ სიტყვებიც კი ერთმანეთის ფოტობირებს წარმოადგენენ.

მაგ. ზანდუკ-საძიებლის გვ. 10r-ზე ერთ პუნქტში გვხვდება დეკორატიულად შესრულებული სიტყვა „გვირგვინი“, ისინი ტყუბის ცალებივით გვანან აღბუღას სამართლის წიგნის 140 და 166 მუხლების (გვ. 273 V. გვ. 275v) „გვირგვინებს“. ასეთი „გვირგვინები“ ტექსტში სხვა მრავალიც გვხვდება ([3] 90r, 131v, 153r და სხვა).

საძიებელში ს. მაღალაძის მიერ ჩაწერილი სიტყვით „სამკუიდრებელი“ (გვ. 16v, 17r) მარცვალ „უი“-სში „ი“-ს უკიდურესად ხაზის ქვემოთ ჩამოტანით და ზოგან „ლი“-ს ხაზს ზემოთ ატყორცნით, ფოტობირი გვეძლევა ბერძნული სამართლის 285 მუხლში ორჯერ ჩაწერილი „სამკუიდრებლისა“-სთან.

ბერძნული სამართლის 348 მუხლის „წინასწარმეტყუელნი“ (იქვე რამდენიმეჯერ სიტყვა „მეტყუელონი“ (გვ. 12r, v) იგივეა, რაც საძიებლის „წინასწარმეტყუელობისათვის“ (გვ. 7v).

საძიებლის გვ. 37 v-ზე ორჯერ გვხვდება დეკორატიულ სტილში მოხდენილად შესრულებული სიტყვა „დახოცონ“, მათი შედარება ბერძნული სამართლის 385 მუხლის (გვ. 116r) და სომხური სამართლის 13 მუხლის (გვ. 124r) „დახოცონ“-თან, ერთმანეთისაგან კალკით გადაღებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ასევე შეიმჩნევა ხელის მსგავსება საძიებლის (გვ. 38r) სიტყვა „ულონობით“-სა და სომხური სამართლის 388 მუხლის „ულონობით“-ს (გვ. 228r) შორის.

Hd—2999 საბუთში სიტყვა „ვენახი“ მოხსენ სამართლის 27, ბერძნული სამართლის 260 და სხვა მუხლებში ჩაწერილი „ვენახის“ ბადალია.

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

* რაც არ შეიძლება 1710 წლის აქეთ ვიგულოთ.

ხელნაწერის ტექსტისა და ზანდუკის საძიებლის ერთავტორობას მთელი წიგნის ნადადეგების შედარებებიც კი ადასტურებს*.

ს. მაღალაძის მიერ დაწერილი ცალკეული საბუთების ხელიც ემთხვევა კრებულის ხელნაწერის სათანადო ადგილებს. მაგ. Hd—980 საბუთის „ნ ა ს ყ ი დ ო ბ ა“ იდენტურია ვახტანგის სამართლის წიგნის 160 მუხლის დასათაურების „ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს“-ა.

ასევე ზანდუკში „ს ა მ კ უ ი დ რ ო“-დან წარმოებული სიტყვები (გვ. 16v, 17r) ედრება ვახტანგის სამართლის 199, სირიულ-რომაული სამართლის 11, 61 და ბერძნული სამართლის 301 მუხლებში მოხსენიებულ „ს ა მ კ უ ი დ რ ო“-ს.

უნდა ითქვას ისიც, რომ კრებულის ხელნაწერ ტექსტსა და შესადარებელ მასალათა შორის, მართალია, არის განსხვავებანიც, მაგრამ ისინი ყველასათვის ჩვეულებრივ, ხოლო ზოგჯერ ს. მაღალაძისათვის დამახასიათებელ „ხელსხვაობას“ უნდა მიეწეროს.

დასკვნა: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ვახტანგ VI კანონთა კრებულის S—3683 ხელნაწერი, გარდა ვახტანგ VI სამართლის წიგნის 205-ე მუხლის შემდგომ ზოგიერთი მუხლისა, კანონთა კრებულზე დართულ ზანდუკ-საძიებლის გადამწერის (თუ შემდგენელის?) მდივან-მწიგნობარ სოლომონ მაღალაძის მიერაა შესრულებული.

სახელმწიფოსა და სამართლის
ისტორიის კათედრა

ლიტერატურა

1. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—575.
2. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad—78, Hd—299.
3. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი S—3683.

* შდრ. საძიებლის „თუ ერთმან მეორის ცოლს უარშიყოს და ბოზობა შეამთხვიოს“ (გვ. 10r), ტექსტში ვახტანგის სამართლის წიგნის 71 მუხლის: „თუ ერთმან მეორის ცოლს უარშიყოს...“ (გვ. 298r); საძიებლის: „ერთს კაცს კაცმან საქონელი მისცეს სავაჭროდ...“ (გვ. 22v) ბერძნული სამართლის 326 მუხლის: „...კაცმა კაცს საქონელი მისცა სავაჭროდ...“ (გვ. 108r) და სხვ.

М. М. КЕКЕЛИА

**О ЛИЧНОСТИ ПЕРЕПИСЧИКА ОДНОЙ ИЗ ЛУЧШИХ РУКОПИСЕЙ
«СБОРНИКА ЗАКОНОВ ЦАРЯ ВАХТАНГА VI»**

Резюме

Одной из лучших рукописей «Сборника законов царя Вахтанга VI», которая легла в основу последних изданий законов (S—3683), является рукопись, переписанная неизвестным лицом.

Эта рукопись носит на себе следы редактирования самого царя Вахтанга VI. Установление личности переписчика и времени переписки имеет большое значение для уточнения даты окончания работы кодификационной комиссии.

К рукописи «Сборника» приложен указатель статей, который составлен известным переписчиком Соломоном Магаладзе. Установлено, что этот указатель составлен до 1710 года.

В результате тщательного изучения рукописи «Сборника» и сравнения как указателя, так и других документов, составленных С. Магаладзе, мы доказываем, что рукопись «Сборника» переписана С. Магаладзе.

Таким образом, выяснено, что рукопись «Сборника законов царя» (S—3683) переписана до 1710 года С. Магаладзе. Также установлено, что к этому времени судебник царя Вахтанга VI полностью был закончен и объем его составлял 270 статей.

М. КЕКЕЛИА

**CONCERNING THE IDENTITY OF THE COPYIST OF ONE OF THE BEST
MANUSCRIPTS OF THE CODE OF VAKHTANG VI**

Summary

One of the best MSS of the Code of Vakhtang VI, which formed the basis of the recent editions of the Code (S-3683), was copied by an anonymous person. The MS in question appears to have been personally edited by King Vakhtang VI.

Establishment of the identity of the copyist and of the date of copying is of significance in specifying the date when the Codification Commission completed its work.

An index of clauses compiled by the well-known Solomon Magaladze is appended to the MS of the Code. The index proves to have been compiled prior to 1710.

A thorough study of the MS and the Code and a comparison of the Index, as well as of other documents compiled by S. Magaladze, has demonstrated that the MS (S-3683) of the Code was copied by S. Magaladze before 1710. It has also been established that Vakhtang VI th's Code of Laws had been completed by that time and that it incorporated 270 clauses.

ანგარებით ჩადენილი მკვლევარის კვალიფიკაციის ზოგადი საკითხი

მზია ლეკვიშვილი

ანგარება ადამიანთა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების მეტად საშიში სტი-
მულია. იგი აღმოცენდა და განვითარდა კერძო საკუთრების წარმოშობასა და
განვითარებასთან ერთად. ანგარებაში გამოიხატება ადამიანის პიროვნების ყვე-
ლაზე უარყოფითი თვისებები, მისი მორალური გახრწნა, მომხვეჭელობითი სუ-
ლი. საბჭოთა კანონმდებლობა ანგარებას თავიდანვე განიხილავდა, როგორც და-
ნაშაულის დამამძიმებელ გარემოებას, რომელიც მოწმობდა დანაშაულის ჩამ-
დენი პირის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას. სწორედ ანგარებითი
მკვლევარის დროს დამნაშავე წინასწარ საზღვრავს ყველა გარემოებას, დე-
ტალსა და ხერხს დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.

სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა არ სჯერდება საქ. სსრ
სსკ-ის 39-ე მუხლში ჩამოთვლილ დამამძიმებელ გარემოებათა შორის ანგარების
მოხსენიებას და კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მთელ რიგ მუხლებში ან-
გარებას მაკვალიფიცირებელ ნიშნად ითვალისწინებს. ასეთ შემადგენლობათა
რიცხვს მიეკუთვნება მკვლევობაც (სსკ-ის 104-ე მუხლის 1 პუნქტი). კანონი
ანგარებით მკვლევობას პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაუ-
ლად თვლის.

სისხლის სამართლის ისტორიაში ანგარებითი მკვლევარის დინამიკამ არ-
სებითი ცვლილება განიცადა. თუ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ
წლებში ანგარებითი მოტივით მკვლევობა ყველაზე მეტად იყო გავრცელებუ-
ლი, ამჟამად მისი ხვედრითი წონა საკმაოდ დაბალია. მაგრამ ეს გარემოება
სრულიადაც არ ნიშნავს ანგარებით ჩადენილი მკვლევარის საზოგადოებრივი
საშიშროების შემცირებას. დღესდღეობითაც ანგარება რჩება ანტისაზოგადოებ-
რივი ქცევის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სტიმულად. ამიტომაც სავსებით გასაგე-
ბია, რომ კანონი იმ გარემოებათა შორის, რომლებიც ამძიმებენ განზრახ მკვლე-
ლობისათვის პასუხისმგებლობას, ანგარებით მკვლევობას პირველ ადგილზე
აყენებს.

კანონში არ არის განმარტებული ანგარების ცნების შინაარსი, ხოლო საბ-
ჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მას სხვადასხვა განსაზღვრებას აძლევენ.
ასე, მაგალითად, ბ. ს. ნიკიფოროვი ანგარებად თვლის სარდას, გამორჩენას,
გამდიდრებისაკენ მისწრაფებას [1], ნ. ფ. კუზნეცოვა და ბ. ა. კურინოვი დაახ-
ლოებით იმავე მოსაზრებას იზიარებენ [2], ტ. ლ. სერგეევას მიაჩნია, რომ ან-
გარებასთან გვაქვს საქმე არა მარტო მაშინ, როდესაც ადამიანი მიისწრაფვის



პირადი გამდიდრებისაკენ, არამედ მაშინაც, როდესაც იგი სხვას აძლევს გამდიდრების შესაძლებლობას [3].

მკვლევლობის დროს ანგარებით მოტივს ზოგჯერ მიაკუთვნებენ ყოველგვარ ინტერესს, რომელშიც რაიმე მატერიალური გამორჩენა ჩაქსოვილი, იმ ხერხებისა და საშუალებების მიუხედავად, რომლებსაც დამნაშავე მის მისაღწევად იყენებს. ანგარება, ისევე როგორც დანაშაულის ჩადენის ყველა სხვა მოტივი, ანტიოციდალურია. ანგარებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც პიროვნების ქცევაში გადამწყვეტია მისწრაფება პირადი ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ, ქონებრივი გამორჩენის, მატერიალური სარგებლის მიღებისაკენ, იგი დანაშაულებრივი საქმიანობის უშუალო მამოძრავებელი ძალაა. ამიტომ მისი აღმოცენება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს მკვლევლობას.

ანგარებითი მკვლევლობისას დანაშაულის ობიექტია ქონების მესაკუთრის ან იმ პირის სიცოცხლე, რომლის სარგებლობაში ან დაცვაში იმყოფება ეს ქონება. ანგარების დროს პირადი ინტერესი უნდა გავიგოთ არა მარტო როგორც სუბიექტის უშუალო სწრაფვა საკუთრივ გამორჩენის მისაღებად, არამედ მისი ოჯახის წევრების, ახლობლების ინტერესიც. ამიტომ, ანგარებით მკვლევლობად უნდა ჩაითვალოს ისეთი მკვლევობაც, როდესაც მას საფუძვლად უდევს ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისათვის მატერიალური სამსახურის გაწევის სურვილი.

ასეთივე სახის მკვლევობა გვექნება მაშინაც, როდესაც დაზარალებულის სიკვდილის შედეგად მიღებული მატერიალური გამორჩენა გარეგნულად „კანონიერად“ ჩანს. ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი მიზანი, პროფ. ა. ნ. ტრანიუნის გამოთქმით, მიღწეულია ფორმალურად „ლეგალური“ გზით“ [4]. მემკვიდრეობის მიღების მიზნით მკვლევლობის დროს დამნაშავე ისწრაფვის მიიღოს მატერიალური გამორჩენა კანონის საფუძველზე. მკვლელი თვითონ უშუალოდ კი არ ართმევს დაზარალებულს კუთვნილ ქონებას, არამედ ეს ქონება მის საკუთრებაში გადადის კანონის საფუძველზე. ანგარებით მკვლევობის ამ სახეს მიეკუთვნება აგრეთვე სხვა მემკვიდრის მოკვლა, მკვლევობა სადაზღვევო თანხის, ბინაზე მფლობელობის მისაღებად და სხვ.

ანგარებით მკვლევობას წარმოადგენს ასევე მკვლევობა ვალის გადახდისა და დაზარალებულის მიმართ სხვა ქონებრივი ხასიათის ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით. ანგარებითი მოტივითაა ჩადენილი მკვლევობა უფრო მაღალხელფასიანი თანამდებობის დაკავების მიზნით, მკვლევობა ისეთი პირის თავიდან მოსაცილებლად, რომელიც ხელს უშლის დამნაშავეს ამა თუ იმ მატერიალური გამორჩენის მიღებაში და ა. შ.

მკვლევობა ანგარებითი ხასიათისაა, თუ იგი ჩადენილია რაიმე საზღაურით. ასეთ შემთხვევაში მკვლელი კლავს დაზარალებულს იმ პირის მითითებით, რომელმაც მას გადაუხადა ან გადაუხდის განსაზღვრულ თანხას. მკვლევობა საზღაურით ანგარებითი მკვლევობის ყველაზე საშიში სახეა. ამ დროს მოტივის ანგარებითი ხასიათი გამოხატულია მეტად მკაფიოდ. ანგარება, როგორც წესი, არ არის შენიღბული სხვა რაიმე გარემოებით, მას არ ახლავს სხვა რაიმე მისწრაფება, იგი მკვლევობის ერთადერთი სტიმულია. მისი ცინიზმი და საზოგადოებრივი საშიშროება ანგარებითი მკვლევობის სხვა სახეებთან შედარებით განსა-

კუთრებით მაღალია. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი სახის მკვლელობების დღეობით საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

იმისათვის, რომ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს, როგორც ანგარებითი, სხვისი ქონების დაუფლების ან სხვაგვარი მატერიალური გამორჩენის მიღების მსურველი წინ უნდა უსწრებდეს მკვლელობის აქტს. მკვლელობის შემდეგ სხვისი ქონების დაუფლება ან სხვაგვარი მატერიალური გამორჩენის მიღება არ შეიძლება დაედოს საფუძვლად დანაშაულის კვალიფიკაციას საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის 1 პუნქტით.

1) იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანგარებით მკვლელობას ადგილი აქვს არა მარტო მაშინ, როდესაც პიროვნება მატერიალურ გამორჩენას იღებს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი მისი წრაფვის შეინარჩუნოს მის საკუთრებაში არსებული ქონება [5]. ამ შემთხვევაში ეგოისტური ტენდენცია გამოხატულია მეტად მკაფიოდ: დამნაშავე თავისი, ზოგჯერ მეტად მცირე ღირებულების მქონე ქონების შესანარჩუნებლად მსხვერპლად იღებს სხვა ადამიანის სიცოცხლეს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს ქმედობა არ შეიძლება განვიხილოთ ანგარებით ჩადენილად; მესაკუთრული მიდრეკილება ყოველთვის როდია ანგარებითი მიდრეკილება. სისხლის სამართალში ანგარების ცნებაში იგულისხმება დამნაშავეს მისწრაფება უკანონოდ მიიღოს რაიმე ქონებრივი გამორჩენა, გამდიდრდეს სხვის ხარჯზე.

ავტორები, რომლებიც ანგარებით მკვლელობად თვლიან მკვლელობას დამნაშავეს მიერ თავისი ქონების გადასარჩენად, განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ქონების მცირე ღირებულებას [6]. მათ თავიანთი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოჰყავთ ისეთი მაგალითები, როგორიცაა ბავშვის მკვლელობა, რომელიც სხვის ბაღში ხილს იპარავდა, ყვავილს წყვეტდა და სხვა. ამ ავტორებს მიაჩნიათ, რომ ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის მოქმედება საკმაოდ ნათლად მოწმობს მის ანგარებით ზრახვებზე.

თუ ანგარებით მკვლელობად მივიჩნევთ მკვლელობას მცირე ღირებულების ქონების შენარჩუნების მიზნით, მაშინ, ცხადია, რომ უფრო მეტი საფუძვლით ეს შეიძლება გავაკეთოთ დიდი მატერიალური ღირებულების მქონე ქონების ხელყოფისაგან დაცვის დროს. თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, ანგარებით მკვლელობად უნდა ჩავთვალოთ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში პირადი ქონების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის დროს. ეს, რა თქმა უნდა, ლოგიკისა და კანონის საწინააღმდეგოა. თავისი საკუთრების დაცვისას პიროვნების მოქმედებას არ გააჩნია ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც ადამიანის ზრახვას ანგარებით ხასიათს ანიჭებს. ამ შემთხვევაში პირის ზრახვა სხვა გრძნობებითა და მისწრაფებებით არის განპირობებული.

დასაცავი ქონების ღირებულება გამოდის არა როგორც ანგარების განსაზღვრის კრიტერიუმი, არამედ როგორც ისეთი ნიშანი, რომლის არსებობასთანაც დაკავშირებულია აუცილებელი მოგერიების აქტის გამიჯვნა პირის საზოგადოებრივად საშიში და სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოქმედებისაგან.

მცირე ღირებულების ქონების დაცვისას დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა, დაზარალებულის ქმედობის მცირემნიშვნელოვანების გამო. წარმოადგენს არა აუცილებელი მოგერიების აქტს, არამედ თითქმის ყოველთვის — შუარისიძებას. ამიტომ, ასეთი მკვლელობა სხვა დამამძიმებელ გარემოებათა არარ-



სებობისას უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩვეულებრივი მკვლევარი მამოძიებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე (მ. 105). ხოლო, დიდი ღირებულების ქონებაზე ხელყოფა კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას შეიძლება ქმნიდეს აუცილებელ მოგერიების უფლებას. ამიტომ, ქმედობის სწორი კვალიფიკაციისათვის ყურადღება უნდა მიექცეს როგორც დასაცავი ქონების ღირებულებას, ისე დანაშაულის ჩადენის სხვა კონკრეტულ გარემოებებსაც.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ანგარებით მკვლევლობად ჩაითვლება მეორე ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა სხვისი ქონების მითვისებისა ან სხვა მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით; დამოუკიდებლად იმისა, მიაღწია თუ არა დანაშავემ სასურველ შედეგს. მკვლევლობის შედეგად დანაშავის ან სხვა პირის მიერ ყოველგვარი არამატერიალური გამორჩენის მიღება ანგარებად არ ჩაითვლება.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებით განმარტა, რომ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით (საქ. სსკ 104-ე მუხლის I პუნქტი) უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახი მკვლევობა, ჩადენილი ისეთი მამოძრავებელი მოტივით, რომელიც მიმართულია ყოველგვარი ხასიათის მატერიალური გამორჩენის (ფული, ქონება, ქონებრივი უფლება, უფლება ბინის ფართობზე და ა. შ.) უკანონოდ მისაღებად, ან მატერიალური ხარჯების თავიდან ასაცილებლად (ვალის გადახდა, ალიმენტის გადახდა და სხვ.).

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ 104-ე მუხლის I პუნქტით კვალიფიკაციის დროს გამოირიცხული არ არის შეცდომების დაშვება. ზოგჯერ განზრახ მკვლევობას ანგარებით მკვლევობად აკვალიფიცირებენ მაშინ, როდესაც სინამდვილეში მკვლევობას სხვა მოტივები უღვევს საფუძვლად (შურისძიება, ეჭვიანობა, ოჯახური უთანხმოება და სხვა). როგორც წესი, ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს რაიმე ქონებრივი ხასიათის დავა.

ანგარებითი მოტივით არ იქნება ჩადენილი ისეთი მკვლევობაც, რომელიც დაზარალებულის მიერ ვალის გადახდაზე უარის თქმით არის გამოწვეული. ამ შემთხვევებში დანაშაულის ხასიათი არ შეესაბამება ანგარების მოტივის შინაარსს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში საკითხი ანგარებითი მკვლევლობისა და ყაჩაღობის დროს მკვლევლობის გამიჯვნისა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი მეცნიერი მათ ანსხვავებს თავდასხმის ხერხისა და ქონების დაუფლების მომენტით [7], ზოგი კიდევ ხელყოფის ობიექტით [8]. სხვები გადაამწყვეტად მიიჩნევენ თავდასხმის არსებობის ფაქტს და ქონების უშუალოდ ამოღების (დაუფლების) მომენტს [9]. გამოთქმულია ასევე მოსაზრება ამ ორი დანაშაულის გამიჯვნისა იმ გარემოებათა ერთობლიობით, რომლებიც ობიექტურ მხარეს (თავდასხმა, დანაშაულის ჩადენის ხერხი, ქონების გადასვლის მომენტი) და ხელყოფის ობიექტს მიეკუთვნება [10].

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ნათელყოფს, რომ უფრო ხშირად ანგარებითი მკვლევობა ხდება ყაჩაღური თავდასხმის დროს სახელმწიფო, საზოგადოებრივი საკუთრების, ან მოქალაქის პირადი საკუთრების დაუფლების

მიზნით. ჩვენი კანონმდებლობით ყაჩაღობა განმარტებულია, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების, ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა (მ. მ. 96, 152).

როგორც ვხედავთ, ყაჩაღობის დისპოზიცია არ მოიცავს დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობას და ამიტომ, თუ ყაჩაღურ თავდასხმას ადამიანის სიკვდილი მოჰყვა შედეგად, ქმედობას მარტო ყაჩაღობის მუხლით ვერ დავაკვალიფიცირებთ. თავის მხრივ, თავდასხმა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება, გამოდის ანგარებითი მკვლელობის ფარგლებიდან და ყაჩაღობისათვის დამატებით კვალიფიკაციას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ორი დამოუკიდებელი დანაშაულია ჩადენილი: განზრახ მკვლელობა ანგარებით და ყაჩაღობა. სწორედ ამგვარად არის გადაწყვეტილი ეს საკითხი სსრკ უშიშროების სამართლის პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილებაში.

ყაჩაღობისა და ანგარებითი მკვლელობის ერთობლიობით კვალიფიკაციისათვის ყოველთვის აუცილებელია, რომ ქმედობა პიროვნებაზე ხელყოფის გარდა (ადამიანის სიცოცხლე) მიმართული იყოს დანაშაულის საგნის გატაცებაზე (ისეთ ქონებაზე, რომელიც დამნაშავეს არ ეკუთვნის, რომელზედაც მას არა აქვს არც ნამდვილად არსებული და არც ნაგარაუდები საკუთრების უფლება). ყაჩაღობის დროს ხელყოფის მიმართულება საკუთრებით ურთიერთობაზე თვით კანონმდებლობის მიერაა ხაზგასმული ამ დანაშაულის მიზანზე მითითებით. მკვლელობა ქონებაზე უფლების, ან სხვა ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით, რომელიც სხვისი ქონების გატაცებას არ გულისხმობს, არ წარმოადგენს საკუთრებით ურთიერთობაზე ხელყოფას და მას ვერ განვიხილავთ, როგორც ორი დანაშაულის — ყაჩაღობისა და ანგარებითი მკვლელობის ერთობლიობას. ამგვარი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის 1 პუნქტით.

არ გვექნება ყაჩაღობისა და ანგარებითი მკვლელობის დანაშაულთა ერთობლიობა მაშინაც, როცა მკვლელობის მიზანია არა სხვისი ქონების დაუფლება, არამედ დამნაშავისა და დაზარალებულის საერთო საკუთრების დაუფლება.

ყაჩაღობის სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა, მისი მიზნის თავისებურებითაა განპირობებული (სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლება). რამდენადაც ყაჩაღობის დროს ეს მიზანი დაკავშირებულია იმ პირის ნების იძულებით დათრგუნვასთან, რომელსაც თავს დაესხნენ, იგი ყოველთვის გამოდის როგორც სხვისი ქონების იძულებითი დაუფლების მიზანი, როგორც ქონების გატაცების მიზანი. სწორედ გატაცების მიზანი წარმოადგენს იმ კონსტრუქციულ ელემენტს, რომლის საფუძველზეც პიროვნებასა და საკუთრებაზე ერთდროული ხელყოფა ქმნის თვისობრივად სხვა დანაშაულს — ყაჩაღობას, მაშინ, როდესაც ანგარებითი მკვლელობის დროს დამნაშავე, როგორც წესი, არ ისახავს მიზნად სხვისი ქონების გატაცებას. ანგარებითი მკვლელობის დროს დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა გამოდის როგორც დანაშაულის ჩადენის უშუალო მიზანი, რომელიც შეუძლებელია ამ შედეგის გარეშე. ყაჩაღობის დროს კი მკვლელობა განიხილება როგორც საშუალება, რომელსაც



მიყვებართ სასურველი მიზნის განხორციელებისაკენ — ქონების განხორციელებას, თუმცა მისი განხორციელება შეიძლება ამ შედეგის დადგომის გარეშეც.

მიზანი თავის ობიექტურ გამოხატულებას პოულობს მხოლოდ განსაზღვრულ ხერხსა და საშუალებებში, რომლებსაც მის განხორციელებამდე მიყვებართ. ყაჩაღობის შემადგენლობაში ასეთ ხერხს წარმოადგენს თავდასხმა, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან.

დაზარალებულზე თავდასხმას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ანგარებითი მკვლელობის დროსაც, მაგრამ, ყაჩაღობისაგან განსხვავებით, იგი არის მიზნის რეალიზაციის არა აუცილებელი, არამედ შესაძლებელი, ალტერნატიული საშუალება. ანგარებითი მკვლელობა სხვა საშუალებითაც შეიძლება განხორციელდეს.

ყაჩაღობის დროს მკვლელობის კვალიფიკაცია და შეფასება უნდა ხდებოდეს იმ მოტივისა და მიზნის შინაარსის მიხედვით, რომელთაც დამნაშავე დანაშაულის ჩადენას უკავშირებს. თუ ყაჩაღობის დროს მკვლელობა დაზარალებულის ქონების დაუფლების საშუალებას წარმოადგენს, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობისა და ანგარებითი მკვლელობის დანაშაულთა ერთობლიობით, ხოლო თუ ყაჩაღობა დაკავშირებული იყო ძალადობის სხვა ფორმების გამოყენებასთან და დამნაშავე მას შემდეგ, რაც უკვე დაუფლა დაზარალებულის ქონებას, განიზრახავს დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობას ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, დამნაშავის მიმართ, ყაჩაღობის მუხლის გარდა უნდა გამოვიყენოთ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტიც.

ვერ დავეთანხმებით ს. ბოროდინის მოსაზრებას, რომელიც თვლის, რომ მკვლელობა ყაჩაღური თავდასხმის დროს დამნაშავის საქმიანობის მოტივით ყოველთვის ანგარებით მკვლელობას წარმოადგენს, მაშინაც კი, როდესაც დაზარალებულს სურს დაიბრუნოს მისთვის იძულებით წართმეული ქონება [11]. დასაშვებია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ყაჩაღობის დროს მკვლელობა გამოდის როგორც თანხმლები გარემოება და იგი განპირობებულია სხვა, ყაჩაღობისაგან განსხვავებული მოტივებითა და მიზნებით: მაგალითად, თავდასხმისა და ქონების დაუფლების შემდეგ დაზარალებულის მოკვლა იმის გამო, რომ დაზარალებული იმუქრებოდა დანაშაულს განვაცხადებო. ამიტომ, ასევე არასწორია ე. პობეგაილოს მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ ყაჩაღური თავდასხმისა და ქონების დაუფლების შემდეგ დაზარალებულის მოკვლა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც ყაჩაღური თავდასხმა და ანგარებითი მკვლელობა.

ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს მაგალითი, როდესაც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დამნაშავეებმა დაზარალებულს წაართვეს ფული და ვინაიდან დაზარალებული ფულის დაბრუნებას ითხოვდა, იგი მოკლეს [12]. ასეთ პირობებში დაზარალებულის მოკვლა არ წარმოადგენს ანგარებით მკვლელობას, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს არა ანგარება, რომელიც ფაქტიურად დაკმაყოფილებულია (ქონება უკვე გადასულია დამნაშავის ხელში), არამედ პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისა და ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მისწრაფება.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ყაჩაღური თავდასხმა, რომელსაც მკვლელობა ახლავს თან, ყოველთვის აშკარა ხასიათისაა, მაშინ, როდესაც ანგარე-

ბით მკვლელობას შეიძლება ჰქონდეს როგორც აშკარა, ისე ფარული ხასიათი [13]. მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი უფლებას გვაძლევს ეს მოსაზრება სადავოდ მივიჩნიოთ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე და 152-ე მუხლების დისპოზიცია სრულიადაც არ მოითხოვს, რომ ყაჩაღურ თავდასხმას ყოველთვის აშკარა ხასიათი ჰქონდეს. მართალია, იგი შეიძლება იყოს აშკარა, ე. ი. თვალსაჩინო დაზარალებულისა ან სხვა პირთათვის (მაგ. იარაღის მუქარით ქონების გადაცემის მოთხოვნა), მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ თავდასხმას ფარული ხასიათიც ჰქონდეს, მისი განხორციელების მომენტამდე დაზარალებულისათვის შეუძინეველი იყო (მაგ. კუთხიდან დარტყმა). სასამართლო პრაქტიკაში არსებულ შეცდომათა თავიდან აცილების მიზნით ლ. გაუხმანი წინადადებას იძლევა, მკვლელობა ყაჩაღური თავდასხმის დროს მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ჩაითვალოს და დაემატოს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მუხლს დამოუკიდებელი პუნქტის სახით: „მკვლელობა ყაჩაღობის დროს“ [14]. ავტორი თვლის, რომ ამ პუნქტის დამატება არ შეცვლის მუხლის კონსტრუქციას, ვინაიდან იგი ითვალისწინებს სხვადასხვაგვარი ხასიათის მაკვალიფიცირებელ გარემოებებს და ამავე დროს საშუალებას იძლევა რთული კვალიფიკაციის ნაცვლად ქმედობა დავაკვალიფიციროთ მხოლოდ 104-ე მუხლის ერთი პუნქტით.

ვფიქრობთ, გამართლებული არ იქნება სხვადასხვა მუხლებში იყოს შეტანილი ყაჩაღური თავდასხმა და მკვლელობა ყაჩაღობის დროს. ეს ყაჩაღობის, როგორც ერთი დანაშაულის, ხელოვნურ გაყოფას წარმოადგენს. პრაქტიკაში ამ დანაშაულის კვალიფიკაციისას არსებული სიძნელეების გადალახვის მიზნით, უმჯობესია, თვით ყაჩაღობის მუხლს ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად დაემატოს ყაჩაღობა, თუ მას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება შედეგად.

სისხლის სამართლისა და პროცესის
კათედრა

ლიტერატურა

1. Б. С. Никифоров, Борьба с мошенническими посягательствами на социалистическую и личную собственность по Советскому уголовному праву, М., 1952, стр. 81.
2. Н. Ф. Кузнецова, Б. А. Куринов, Отягчающие и смягчающие обстоятельства, учитываемые при определении меры наказания; в кн.: Применение наказания по Советскому уголовному праву, М., 1958, стр. 112.
3. Т. Л. Сергеева, Уголовноправовая охрана собственности в СССР, М., 1954, стр. 51.
4. А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 251.
5. С. Х. Жадбаев, Значение мотива преступления для определения ответственности за некоторые виды умышленного убийства по УК Казахской ССР, Вопросы уголовного права и процесса, Труды Института философии и права АН Казахской ССР, Алма-Ата, 1963, стр. 102.
6. С. Х. Жадбаев, დასახ. ნაშრ., გვ. 102; Э. Ф. Побегайло, Умышленные убийства и борьба с ними, Воронеж, 1965, стр. 99.



7. М. Д. Шаргородский, Ответственность за преступления против личности, Л., 153, стр. 18—19; М. К. Аниязц, Ответственность за преступления против жизни, М., 1964, стр. 87.
8. Б. С. Никифоров, Уголовно-правовая охрана личной собственности в СССР, М., 1954, стр. 99—100.
9. С. В. Бородин, Квалификация убийства по действующему законодательству, 1966, стр. 49; Э. Ф. Побегайло, დსსს. ხანძრ., 33. 96.
10. М. К. Аниязц, Ответственность за преступления против жизни, М., 1964, стр. 88.
11. С. В. Бородин, დსსს. ხანძრ., 33. 47—48.
12. Э. Ф. Побегайло, დსსს. ხანძრ., 33. 97.
13. М. Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья, М., 1948, стр. 175; П. П. Михайленко, А. М. Посенко, Преступления против социалистической собственности, Киев, 1961, стр. 11.
14. Л. Гаухман, Разбой и корыстное убийство, ж. «Советская юстиция», 1964, № 4, стр. 11.

М. ЛЕКВЕИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ КВАЛИФИКАЦИИ УБИЙСТВА ИЗ КОРЫСТИ

Резюме

Убийство из корысти — одно из тех преступлений, при квалификации которых в следственной и судебной практике допускаются ошибки.

В работе дается определение как корысти, так и понятия убийства из корысти. Убийство из корысти — это лишение жизни другого человека с целью присвоения чужого имущества или получения другой материальной выгоды. При этом личный интерес понимается в широком смысле, как стремление преступника получить выгоду как лично для себя, так и для членов семьи, близких.

Некоторые ученые ошибочно квалифицируют убийство при защите своего малозначительного имущества как убийство из корысти. Закономерно распространив это неправильное положение на случай защиты от посягательства имущества, имеющего большую материальную ценность, убийством из корысти следует признать и действия лица в положении необходимой обороны, что в корне ошибочно. Вышеуказанное убийство следует квалифицировать по ст. 105 УК ГССР, как простое убийство по мотиву мести.

В работе изучается вопрос разграничения убийства из корысти от убийства при разбое. Соглашаясь с существующим мнением о некоторых признаках различия этих двух преступлений, автор одним из основных признаков разграничения считает ту цель, которую стремится достичь преступник. Именно цель является тем конструктивным элементом, на основе которого при одновременном посягательстве на лицо и имущество создается качественно другое преступление.

Изучив и обобщив следственную и судебную практику по делам убийства из корысти и убийства при разбое, следует признать целесообразным усовершенствовать статьи 96 и 152 УК ГССР, добавив в качестве отягчающего вину обстоятельства разбой, повлекший за собой смерть потерпевшего.

M. LEKVEISHVILI

SOME PROBLEMS OF THE QUALIFICATION OF MURDER FOR
MERCENARY MOTIVES

S u m m a r y

Murder for mercenary motives is one of those crimes in the qualification of which mistakes are made in investigatory and judicial practice. The paper gives a definition of self-interest as well as the notion of murder for mercenary motives. Murder for mercenary motives is the deprivation of life of another person with the purpose of appropriating his property or obtaining other pecuniary profit. Moreover, the personal interest is understood broadly as the aspiration of the murderer to obtain profit not only for himself, but also for the members of his family and close relatives.

Some investigators are mistaken in qualifying murder, committed in defending one's small property as murder for mercenary motives. Naturally generalizing this wrong idea to the case of defence from encroachment on one's property of substantial material value, the actions of a person in necessary defence should then be qualified as murder for mercenary motives, which is basically erroneous. The murder in question should be qualified according to article 105 of the Criminal Code of the Georgian SSR as common murder motivated by revenge.

The differentiation between murder for mercenary motives and murder in robbery is studied in the paper. Concurring with the current view on some features of differentiation between these two types of murder, the author believes that one of the main distinguishing features is the aim the murderer is striving for. Thus the purpose constitutes the constructive element on the basis of which with a simultaneous encroachment on a person and property a qualitatively different crime emerges.

As a result of a study and generalization of investigatory and judicial practice dealing with murder for mercenary motives and murder in robbery, articles 96 and 152 of the Criminal Code of the Georgian SSR should be amended by adding "robbery entailing the death of the person attacked as a circumstance aggravating the crime".

ნიკო ნიკოლაძე დანაშაულის მიზეზების შესახებ

ვალერიან მებრეველი

ცნობილ ქართველ მოღვაწეს, მგზნებარე პუბლიცისტს, ეკონომისტს, იურისტს, ჟურნალისტს, ლიტერატორს — ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძეს — საპატიო ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული აზროვნების ისტორიაში.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არ დასმულა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ნ. ნიკოლაძე არ გამოხმაურებოდეს და არ გამოეთქვა თავისი აზრი. კიდევ მეტი — ნ. ნიკოლაძე, როგორც ევროპულად განსწავლული მოღვაწე თვითონ აყენებდა ქართველი ერის წინაშე მნიშვნელოვან პრობლემებს და ეძიებდა მათი წარმატებით გადაჭრის გზებს.

ნ. ნიკოლაძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში რელიეფურად წარმოსდგება პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები.

ნ. ნიკოლაძის იურიდიული შეხედულებანი სრულიად შეუსწავლელია, ამ საკითხზე არ გამოქვეყნებულა არც ერთი საჟურნალო წერილიც კი. ამდენად, წინამდებარე სტატია წარმოადგენს პირველ ცდას ნ. ნიკოლაძის იურიდიულ შეხედულებათა შესასწავლად.

ნ. ნიკოლაძე თავის მრავალრიცხოვან შრომებში სამართლებრივი საკითხებიდან ეხება: იურისპრუდენციის არსს და დანიშნულებას, მის ამოცანებს სხვადასხვა ეტაპზე, კანონისა და სამართლის არსს და დანიშნულებას, დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტებს, დანაშაულის მიზეზებს და მათი აღკვეთის ღონისძიებებს. მართლმსაჯულებას და სასამართლოს საქმიანობას, სასამართლო დაცვის პრობლემებს (ადვოკატურის ამოცანებს), და სხვა.

აღნიშნული პრობლემებიდან წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეხებით ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს დანაშაულის მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების შესახებ. ნ. ნიკოლაძე ბავშვობიდანვე ეცნობოდა კანონმდებლობას. ეს ჩანს მისივე მოგონებიდან, რომ მეხუთე კლასის მოსწავლე მამის რჩევით „კანონმეტყველებას“ ეუფლება [1]. კანონმდებლობის ცოდნას ამყვანებს 17 წლის ასაკში დაწერილ ფელეტონში „ხაბარდა და ლოტო ქუთაისში“ [2], ხოლო 1861 წელს, შევიდა რა პეტერბურგის უნივერსიტეტში — იწყო სისტემატური იურიდიული განათლების მიღება*, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ სტუდენტ-

* ნ. ნიკოლაძეს რომ საფუძვლიანი იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ 1881 წ. ქ. თბილისში დაარსდა იურიდიული ჟურნალი — „იურიდიურ-საზოგადოებრივი“, რომლის პირველ ნომერს ამშვენებს ნ. ნიკოლაძის მეთაური სტატია ჟურნალის დანიშნულებისა და ამოცანების შესახებ, და თუ ისეთმა ცნობილმა იურისტებმა, როგორც ფრენკელი (რედაქტორ-გამომცემელი) და სტეპანოვი (რედაქტორი) იყვნენ — ნ. ნიკო-



თა დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ აეკრძალა არა თუ უნივერსიტეტში სწავლა, არამედ პეტერბურგში ცხოვრება. ამიტომ იძულებული გახდა უნებართვოდ, მალულად ეცხოვრა აკაკი წერეთლის ბინაში.

1864 წელს ნ. ნიკოლაძე სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ. 1868 წელს მან შვეიცარიაში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „განიარაღებ და მისი სოციალურ-ეკონომიური შედეგები“, რომელშიაც „იურისტის თვალთა დანახული ის წინააღმდეგობა, რომელიც ყოველთვის არსებობს ბურჟუაზიულ სამყაროში, ერთი მხრივ, განიარაღების მისწრაფებასა და, მეორე მხრივ, ამ უაღრესად კეთილშობილური იდეის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას შორის“ [3].

საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში (1864—1868) ნ. ნიკოლაძე იურიდიულ განათლებას ღებულობს. ამდენად, ლოგიკურია, თუ ნ. ნიკოლაძის მრავალფეროვან შემოქმედებით მემკვიდრეობაში სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობასაც შევხვდებით. სამწუხაროდ რაიმე იურიდიული ტრაქტატი, რომელშიაც თავმოყრილი იქნებოდა ავტორის სამართლებრივი მსოფლმხედველობის ამსახველი მასალები, ნ. ნიკოლაძეს არ დაუტოვებია. ნ. ნიკოლაძის მრავალრიცხოვან შრომებში ვხვდებით ცალკეულ გამონათქვამებს სამართლის ამა თუ იმ საკითხებზე და ზოგჯერ პატარ-პატარა წერილებსაც კი.

ნ. ნიკოლაძეს თავის მრავალრიცხოვან შრომებში გამოთქმული აქვს ფრიად საინტერესო მოსაზრებანი დანაშაულის მიზეზების და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ.

ამ შეხედულებათა განხილვამდე გავეცნოთ, თუ რა მოსაზრებებს გამოთქვამს ავტორი თვით დანაშაულისა და სასჯელის შესახებ.

დანაშაულად ნ. ნიკოლაძეს პიროვნების ისეთი ქცევა მიაჩნია, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება. ნ. ნიკოლაძე ყოველთვის არ იცავს ამ ფორმულას. მისი აზრით, ზოგჯერ ესა თუ ის ქცევა, მართალია კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ არ შეიძლება მისი დასჯა, რადგან ეს ქცევა განპირობებულია სხვადასხვა გარემოებებით, იმდენად, რომ პიროვნებას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რომ კანონის მოთხოვნა არ დაერღვია. ამგვარად, ნ. ნიკოლაძე დანაშაულის ორგვარ გაგებას გვთავაზობს: 1) დანაშაული ფორმალური გაგებით, რომელიც კანონის მოთხოვნის დარღვევაა და 2) დანაშაული მატერიალური გაგებით, რაც აშკარად საზოგადოებრივ საშიშ ქმედობას წარმოადგენს. ნ. ნიკოლაძე ყოველთვის როდია მომხრე, რომ დანაშაულად ჩაითვალოს კანონის ნებისმიერი გადახვევა. მისი აზრით, თუ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედობა ობიექტური გარემოებებითაა განპირობებული, იგი არ წარმოადგენს დანაშაულს და სასჯელიც არ უნდა დაედოს მას. მოვიყვანოთ ნ. ნიკოლაძის სიტყვები ამის დასასაბუთებლად: „ვთქვათ, მაგალითად, X-მა ერთი გირვანქა პური მოიპარა იმიტომ, რომ მას შიოდია, იმიტომ, რომ მუშახელის სიუხვისა და სამუშაოს სიმცირის გამო, მას

ლაძეს თხოვეს იურიდიული ჟურნალის პირველი ნომრისათვის ჟურნალის დანიშნულებისა და ამოცანების შესახებ მეთაური წერილის მომზადება — ეს ნ. ნიკოლაძის დრმა იურიდიულ განათლებაზე მიუთითებს. ნ. ნიკოლაძის არქივში შემონახულია ასევე ა. ფრენკელისა და სტეპანოვის წერილები, რომლებიც ნიკოლაძეს თხოვენ ჟურნალში თანამშრომლობას. ნ. ნიკოლაძე დროდრო აქვეყნებს ამ ჟურნალში სტატიებს.

სამეუშაო არ ჰქონდა და თავის რჩენა მხოლოდ ქურდობით, ან სხვა რომელიმე არანაკლები უკანონობით შეეძლო. ცხადია, X-ის გამართლების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ საქმეს კანონების თვალსაზრისით შევხედავთ, ამა და ამ კოდექსის ესა და ეს მუხლი ფორმალურად კრძალავს ქურდობას, ესა და ეს მუხლი კი ამა და ამ სასჯელს აწესებს. რაკი გამოირკვევთ, რომ ეს დანაშაულობა ჩადენილია, მოსამართლეებმა ბრალდებულს კანონით დაწესებული სასჯელი უნდა დაადონ... მაგრამ კაცს რაც უნდა სუსტად ჰქონდეს შეგნებული ადამიანის ბუნების აუცილებელი მოთხოვნილებანი, მისთვის ცხადია, რომ ასეთ საქმეებში სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს სხვა რამეს და არა კანონიერების ვიწრო ცნებას“ [4]. აქედან ნათლად ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე ამა თუ იმ ქმედობის დანაშაულად დასაკვალიფიცირებლად მხოლოდ კანონის ფორმალური მოთხოვნით არ ემაყოფილებდა. იგი დანაშაულის მატერიალური გავების მოძიებას, აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, სასჯელი არ უნდა შეეფარდოს ისეთ დანაშაულებრივ ქმედობას, რომელიც აუცილებელმა გარემო პირობებმა გამოიწვიეს. თუ დანაშაული არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს, ან გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით, მაშინ სასჯელის შეფარდების საკითხს შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ.

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ნ. ნიკოლაძე, რაკი მიუთითებს, რომ, თუ დანაშაული ობიექტურმა გარემოებებმა გამოიწვიეს — იგი არ უნდა დაისაჯოს პირიქით, ნ. ნიკოლაძე მოუწოდებდა, საზოგადოებას აქტიურად ებრძოლა დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად, მაგრამ საჭირო იყო ზომიერების დაცვა სასჯელის შეფარდებისას. ნ. ნიკოლაძე — ახალგაზრდობიდანვე წინააღმდეგი იყო ღამამცირებელი და მძიმე სასჯელებისა. ჯერ კიდევ 1866 წელს, 23 წლის ყმაწვილმა ხმა აღიმალა დასჯის ფეოდალური პრინციპების წინააღმდეგ: „სასამართლოს წესით ფიზიკური დასჯის მოსპობა, რასაკვირველია, ფრიად და ფრიად საჭებური რამ არის. მაგრამ ამას არ მოჰყოლია და არც მოჰყვება სასჯელის მოსპობა ადმინისტრაციული წესით. თუ გავიხსენებთ, რომ გლეხთა საზოგადოებაში, თანახმად „19 თებერვლის დებულებისა“, პოლიცია მემამულეების ხელშია და რომ ისინი თავის წინანდელ გლეხებს გამგებლობენ, ცხადია ამ რეფორმით მეტისმეტი აღფრთოვანება არ შეიძლება“ [5]. ამავე სტატიის სქოლიოში ნ. ნიკოლაძე განმარტავს, რომ ფიზიკური დასჯა მთლიანად, ყველას მიმართ როდი გაუქმდა: „უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკურ სასჯელთა მოსპობა არ ეხება გადასახლებულებს და კატორღელებს. მერე რამდენია ციმბირში ისეთი გლეხი, რომელიც მემამულეს თავისი უფლებით, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად გადაუსახლებია“ [6]. ნ. ნიკოლაძე არაერთგზის მოითხოვს ახალგაზრდობის სახელით დამამცირებელი სასჯელების გაუქმებას. კიდევ მეტი — იგი აყენებს საკითხს, რათა გარდაიქმნას კანონმდებლობა და ჩამოყალიბდეს ისე, რომ მოსპობს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და ზედმეტი გახადოს სასჯელი: „...ახალი წყობილებისათვის, რომელიც საზოგადოების ყველა წევრის სრულ თანასწორობაზე იქნება დამყარებული, საჭიროა მოხდეს მთელი კანონმდებლობის ძირეული გარდაქმნა, — გარდაქმნა იმ კანონმდებლობისა, რომელიც მდიდრებისაგან და მდიდრებისთვისა შექმნილი, ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი კანონმდებლობა, შექმნილი ხალხის მიერ და ხალხისათვის. ასეთი კანონმდებლობა ეკონომიურ ურთიერთობათა და საზოგადოებრივი აღზრდის

ძირითად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ზედმეტად ხდიდა ყოველგვარ სასჯელობითს ღონისძიებას, ვინაიდან იგი ძირიან ფესვიანად სპობდა დანაშაულობის ჩადენის ხელისშემწყობ მიზეზებს“ [7]. აქედან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს სასჯელის გაუქმება შესაძლებლად მიაჩნია „ეკონომიურ ურთიერთობათა და საზოგადოებრივი აღზრდის რეორგანიზაციასთან“ ერთად. სამწუხაროდ ასეთი შეხედულება უტოპიურია, რადგან შეუძლებელი იყო კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიურ ურთიერთობათა თუ აღზრდის რეორგანიზაცია იმ ღონემდე, რომ აღმოფხვრილიყო დანაშაული და ზედმეტი გამხდარიყო სასჯელი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც დასავლეთ ევროპაში ისე რუსეთში, მეტად გამწვავდა კაპიტალისტური წინააღმდეგობანი. კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა ზრდას ბუნებრივია მოჰყვა დანაშაულობათა ზრდა. გაბატონებული კლასის წარმომადგენლები ეძებდნენ გამოსავალს მოსახლეობის ფართო მასების დასაშოშმინებლად, მაგრამ მათი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

დანაშაულობათა მიზეზების შესახებ თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს საზოგადოების მოწინავე ფენების წარმომადგენლებმაც, რომლებმაც ამხილეს დანაშაულობათა ნამდვილი მიზეზები. ამ ადამიანთა შორის შეიძლება დავასახელოთ დიდი რუსი განმანათლებლები — ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, გერცენი და სხვ. ამ პერიოდში ქართველ მოაზროვნეთაგან დანაშაულობათა ნამდვილი მიზეზების გამომზეურება და ახსნა სცადეს ქართველმა განმანათლებლებმა — ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ და სხვებმა. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ნ. ნიკოლაძის მოსაზრებებს დანაშაულის მიზეზების და მისი აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ.

ნ. ნიკოლაძეს თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში განხილული აქვს როგორც ცალკეული სახის დანაშაულობათა ჩადენის მიზეზები და მათი თავიდან აცილების ღონისძიებანი, ისე ზოგადად, დანაშაულის საერთო მიზეზები და მისი აღკვეთის საშუალებები.

1866 წელს ნ. ნიკოლაძემ ნაშრომში „მთავრობა და ახალი თაობა“ პირდაპირ მიუთითა, რომ დანაშაულის მიზეზი ცხოვრების ეკონომიური პირობებია, საზოგადოების ეკონომიური წყობა იძულებს ადამიანს ჩაიღინოს დანაშაული: „სამოსამართლო რეფორმის დარგში იგი (ახალგაზრდობა, ვ. მ.) დღიხანია ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ სისულელეა ადამიანის დასჯა იმისთანა უნებური მოქმედებისათვის, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა მიერ არის გამოწვეული. ამ აზრის დასამტკიცებლად იგი ამბობდა: ადამიანი ყოველთვის გარეშე გარემოებათა გავლენის ქვეშაა; ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც მის პირად ნებისყოფაზე არ არის დამოკიდებული და რომლებიც უმეტეს შემთხვევაში თვით საზოგადოების მიერვეა შექმნილი; ეს არახელსაყრელი პირობები იძულებულს ჰყოფენ ადამიანს მოიქცეს ასე და არა ისე, ხშირად დაარღვიოს ის კანონები, რომლებიც საზოგადოების გავლენიან ნაწილს გამოუცია მხოლოდ თავის სასარგებლოდ“ [8].

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე დანაშაულის ძირითად მიზეზს ცხოვრების მოუწყობლობაში ხედავს. ნ. ნიკოლაძე უარყოფს ე. წ. „დაბადებულანვე დამნაშავეს“ და აღნიშნავს, რომ დამნაშავეც ადამიანია: „ადამიანის პიროვნებას უნდა ვაფასებდეთ, დამნაშავეშიც, რომელიც სხვა არა არის რა,

თუ არა საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობის და კანონების უსამართლობის მსხვერპლი“ [9].


როდესაც ვეცნობით ნ. ნიკოლაძის მოსაზრებებს დანაშაულის მიზეზების შესახებ, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ნ. ნიკოლაძე ხშირად ეყრდნობა მე-19 ს. მეორე ნახევრის რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა (ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვ.) სახელმძღვანელო დებულებებს ამ პრობლემის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ უცვლელად იმეორებდეს მათ. ნ. ნიკოლაძე დანაშაულის მიზეზების გარკვევისას საკუთარი კონცეფციებით ხელმძღვანელობს და თითქმის იმავე დასკვნამდე მიდის, რაც რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა გააკეთეს.

დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები—გერცენი, ბელისკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვ. — თავიანთ ნაშრომებში დიდ ყურადღებას უთმობდნენ დანაშაულობათა მიზეზებს და მათი თავიდან აცილების პრობლემებს. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები დანაშაულს განხილავდნენ ისეთ სოციალურ მოვლენად, რომელიც ახასიათებს კერძო საკუთრებაზე დამყარებულ კლასობრივ საზოგადოებას, კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები დანაშაულობათა აღმოფხვრას კაპიტალისტური საზოგადოების დამსხვრევით და სოციალისტური წესწყობილების დამყარებით ასაბუთებდნენ.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები თავიანთ მხატვრულ-ფილოსოფიურ, პუბლიცისტურ თუ კრიტიკულ ნაშრომებში მოუხრიდებლად ააშკარავებდნენ გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებს. ნ. ნიკოლაძე, როგორც რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი, როგორც მათი მოწაფე, ასევე მოუხრიდებლად ააშკარავებს თავადაზნაურთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ამ დანაშაულთა ჩადენის მიზეზებს.

როგორც რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, ისე მათი ქართველი მოწაფე და მიმდევარი ნ. ნიკოლაძე დანაშაულობათა მიზეზების განხილვისას ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ დანაშაულთა ნამდვილ არსს და მის გამომწვევ მიზეზებს. სამწუხაროდ, ვერც რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა და ვერც ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ ვერ შესძლეს ამაღლებულიყვნენ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ნამდვილ მეცნიერულ გაგებამდე და აქედან გამომდინარე, დანაშაულის და მისი გამომწვევი მიზეზების ჭეშმარიტად მეცნიერულ ახსნამდე, ასევე მათი თავიდან აცილების მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბებამდე.

თუ გადავავლებთ თვალს რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატების მოსაზრებებს დანაშაულის მიზეზებზე და შევუბირისპირებთ მათ ნ. ნიკოლაძის მოსაზრებებს ამავე სკიოხზე, დავრწმუნდებით, რომ ნ. ნიკოლაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ — რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოსაზრებებს ეყრდნობა. ასე მაგ., ა. ი. გერცენი, იხილავდა რა დანაშაულის მიზეზებს, მიუთითებდა, რომ დანაშაულის ჩადენა მიზეზობრიობის ზოგადი კანონიდან გამომდინარეობს, იგი გამოწვეულია ადამიანთა ცხოვრების პირობებით. ა. ი. გერცენი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ცხოვრების ეკონომიურ პირობებს, როგორც ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორს. გერცენის აზრით, დანაშაულობათა მიზეზებს უნდა ვეძებდეთ არა ადამიანის ცუდ ბუნებაში, არამედ ექსპლოატაციასზე



დამყარებულ საზოგადოებრივ წყობაში. გერცენი მკაცრად აკრიტიკებდა ბუღრ-
უჯაზიულ საზოგადოებას, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა დასჯას და მკაცრ
სასჯელებს, მაშინ როდესაც არაფერ არ ფიქრობს დანაშაულის ხელშემწყობი
პირობების აღმოფხვრაზე [10].

იგივე მოსაზრებანი აქვს გამოთქმული დანაშაულის მიზეზებზე ნ. ნიკოლა-
ძესაც. 1874 წელს დაწერილ სტატიაში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“
ნ. ნიკოლაძე აანალიზებს ქართველ თავადაზნაურთა მიერ ჩადენილ დანაშაულს
და დასძენს: „...მე სრულიადაც არ მინდა გავამართლო ბოროტმოქმედნი, ანდა
დაჟინებით მოვითხოვო მათი შეწყნარება. მაგრამ არ შეიძლება დავიფიქროთ, რომ
დანაშაულობანი (ხაზი ჩვენია, ვ. მ.) და შეცდომები იზრდება ან მცირ-
დება არა სასჯელის მეტი ან ნაკლები სიმკაცრის, არამედ საზოგადოების მორა-
ლური და ეკონომიური ყოფის ცვლილებათა შედეგად“ [11].

ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი დანაშაულის მიზეზების და მათი თავიდან აცი-
ლების ღონისძიებათა შესახებ, უახლოვდება აგრეთვე ნ. ა. დობროლიუბოვის
მოსაზრებებსაც.

ნ. ა. დობროლიუბოვი დანაშაულობათა მიზეზებს როცა იხილავდა, მიუთით-
ებდა, რომ თითოეული მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაული მიზეზია არა
ადამიანის ხასიათისა, არამედ მისი არანორმალურ მდგომარეობაში ჩაყენებისა.
ნ. ა. დობროლიუბოვის აზრით, რაც უფრო მეტია ადამიანის ცხოვრების პირო-
ბების არანორმალურობა, მით უფრო ხშირია თვით წესიერ და პატიოსან ადა-
მიანთა მიერ დანაშაულობათა ჩადენა, მით უფრო მეტია ამ უკანასკნელთა მიერ
წინდაუხედაობა, გაუთვალისწინებლობა და შეუგნებლობა თავისი ქცევისა. ამის
დასასაბუთებლად ნ. ა. დობროლიუბოვი იყენებს ცნობილ რუსულ გამოთქმას:
«всякий преступник есть прежде всего худой счетчик».

ნ. ა. დობროლიუბოვის აზრით, ძალიან ცოტაა ისეთი დანაშაულები, რომ-
ლებიც ცხოვრების უკუღმართობიდან არ გამომდინარეობდეს. დანაშაულთა
უმეტესი ნაწილი ჩადენილია «по невежеству, по недостатку здравых поня-
тий о вещах, по неумению сообразить настоящее положение дел и пос-
ледствия поступка, а лишь немногие преступления и поступки соверша-
ются преднамеренно» [12].

ნ. ა. დობროლიუბოვის ამ მოსაზრების მსგავსად, ნ. ნიკოლაძეც გამოთქვამს
შეხედულებას, რომ ცხოვრების მოუწყობლობა ბადებს უმეტერებს, ხოლო
უმეტერებს დანაშაულებრივი ქმედობა მოჰყვება. ამის დამამტკიცებელია ნ. ნი-
კოლაძის სტატია „ღარიბ კლიენტთა ინტერესების დაცვა“ [13], რომელშიც ავ-
ტორი ააშკარავებს ჩვენი მხრის მცხოვრებთა სავალალო მდგომარეობას.

ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძეს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შორის
ყველაზე უფრო ახლო დამოკიდებულება ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ჰქონდა. იგი
ნ. გ. ჩერნიშევსკის თავის მასწავლებლად და გზის მანათებლად მიიჩნევს. ამი-
ტომ ბუნებრივია ის გარემოება, თუ ჩერნიშევსკის მოსაზრებანი დანაშაულობა-
თა მიზეზებისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ ნ. ნიკოლა-
ძის მიერ გაზიარებული და მიღებული იქნებოდა.


ნ. გ. ჩერნიშევსკიმ თავის მრავალრიცხოვან შრომებში დანაშაულის პრობ-
ლემებზეც გამოთქვა მოსაზრებანი. დანაშაულის მიზეზების განხილვისას ჩერნი-
შევსკი აღნიშნავს, რომ დანაშაულობათა მიზეზები ცხოვრების მატერიალურ
პირობებში უნდა ვეძიოთ. ნ. ა. დობროლიუბოვის მსგავსად ნ. გ. ჩერნიშევსკი,

როდესაც ადამიანის ქცევას იხილავს, მიუთითებს, რომ ადამიანის ქცევა (წებე) (ლობით), ეს იქნება დადებითი თუ კანონსაწინააღმდეგო — განპირობებულია გარკვეული მიზეზებით. ავტორის აზრით, ადამიანის გადაწყვეტილება — რომ ჩაიდინოს დანაშაული — გარკვეულ მიზეზობრიობას უკავშირდება. ნ. გ. ჩერნიშევსკი თვლიდა, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე, კერძოდ ადამიანის ნება, არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც დამოუკიდებელი, ყველაფრისაგან მოწყვეტილი, თავისუფალი ნება, არამედ იგი დამოკიდებულია გარემო პირობებზე და ამ უკანასკნელით განისაზღვრება. იყენებდა, რა მიზეზობრიობის პრინციპს დანაშაულის პრობლემის ასახსნელად. ნ. გ. ჩერნიშევსკი აღასტურებდა: «...Самым изобильным источником обнаружения злых качеств служит недостаточность средств к удовлетворению потребностей» [14].

დანაშაულის მიზეზებზე მსჯელობისას ნ. გ. ჩერნიშევსკი მიდის იმ დასკვნამდე, რომ დამნაშავეს ბრალისთვის ან სჯიან, ან კიცხავენ, მაშინ როდესაც საჭიროა არა დასჯა, არამედ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება: «Вина вызывает порицание или даже наказание против лиц. Беда требует помощи лицу через устранение обстоятельств более сильных, нежели его воля... тут нужно не наказание отдельного лица, а изменение условий быта целого сословия» [15].

აქედან ჩანს ნ. გ. ჩერნიშევსკის ის მოსაზრება, რომ არ შეიძლება სისხლის სამართლის კანონებით დავიცვათ კაცობრიობა დანაშაულის ჩადენისაგან. მისი აზრით დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად საჭიროა საზოგადოების ძირფესვიანად გარდაქმნა სოციალისტურ საწყისებზე.

ნ. ნიკოლაძე ნ. გ. ჩერნიშევსკის მსგავსად, დანაშაულის ძირითად მიზეზად ცხოვრების ცუდ მატერიალურ პირობებს, ცხოვრების უღონობას მიიჩნევს. სამაგიეროდ ნ. ნიკოლაძე ერთგვარად სცილდება ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებას ამ საკითხში იმ მხრივ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ცხოვრების ეკონომიური პირობებითაა განპირობებული — არ შეიძლება მის წინაშე ქედის მოხრა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარდა სხვა სახის ღონისძიებებიც უნდა გამოვიყენოთ. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა ნ. ნიკოლაძემ თავისი სტატია „მოძღვრება შეუტრაცხადობის შესახებ და ჩვენი „განათლებულები“, ნ. ნიკოლაძეს არ მიჩნია მართებულად მოსაზრება, რომლის მიხედვით — რადგან დანაშაული ცხოვრების მატერიალურ პირობებში იმალება — პიროვნებას პასუხი არ უნდა მოეთხოვოთ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ნ. ნიკოლაძე ქადაგებს: „მოაზროვნე და კანონმდებელი უნდა ზრუნავდეს ისეთი ვითარების თავიდან ასაცილებლად, რაც ასეთ ხასიათებს წარმოქმნის, რაც მოსპობს მომავალში ამნაირი მოვლენების ჩასახვის შესაძლებლობასაც კი, ისინი უნდა იცავდნენ იმ აზრს, რომ ამნაირი ხასიათებიდან გამომდინარე, ზიანის პარალიზება შეიძლება არა სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელის სიმკაცრით, არამედ მისი წარმომშობი გარემოს მოსპობით. მაგრამ აქედან ჩვენი მეზობლების პატიოსანი ანდა უსინდისო საქციელისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებამდე, მათი უსამართლობისა ანდა გმირობისადმი აპატიურ დამოკიდებულებამდე, ყოველგვარ გარემოზე თვალის დახუჭვამდე, მთელი უფესკრულია, რომელზედაც გადახტომას შეეცდებიან მხოლოდ ბრძეები“ [16]. ნ. ნიკოლაძის ამ გამონათქვამიდან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე, გარდა იმისა, რომ მოითხოვს ცხოვრების გარდაქმნას, დანაშაულის აღსაკვეთად — ასევე ქადაგებს უსამართ-



ლობისადმი, უსინდისო საქციელისადმი არა ინდიფერენტულობას, არამედ კონკრეტულ ტიურ ბრძოლას.

დანაშაულის მიზეზებზე მსჯელობისას ნ. ნიკოლაძე ყურს უგდებდა საზოგადოების შეხედულებას ამ პრობლემისადმი და თუ შენიშნავდა საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მცდარობას, მაშინ თავს მოვალედ თვლიდა გამოეთქვა თავისი შეხედულება. ამის დამამტკიცებელია სტატია „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ [17], რომელშიაც ამხილა ქ. ქუთაისში გავრცელებული მცდარი აზრი იმის შესახებ, თითქოს ძარცვის, ქურდობისა და მკვლელობის დანაშაულობათა უზომო ზრდა გამოწვეული ყოფილიყო ახალი სასამართლო რეფორმის გატარების შედეგად. კერძოდ — ახალი სასამართლო რეფორმა თითქოს აწესებდა მეტად ლმობიერ სასჯელებს და ხელს უწყობდა ამით ახალ დანაშაულობათა ჩადენას. ნ. ნიკოლაძემ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ახალ სასამართლო რეფორმას არ შემოუღია უფრო მსუბუქი სასჯელები. რაც შეეხება დანაშაულობათა რიცხვის ზრდას — იგი გამოწვეულია არა მსუბუქი სასჯელებით, არამედ იმით, რომ რეფორმის შემდეგ პასუხისმგებლობა დაწესდა ისეთ ქმედებებზე, რაც ადრე კანონით არ ისჯებოდა, ე. ი. დანაშაულად არ ითვლებოდა. „ამ თვალსაზრისით ჩვენთან გაიზარდა არა დანაშაულობათა რიცხვი, არამედ მხოლოდ დასასჯელი დამნაშავეთა რიცხვი“ [18]. ამავე სტატიაში ნ. ნიკოლაძე არკვევს თავადაზნაურობის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მიზეზებს და მიუთითებს, რომ ქართველი (ქუთაისის) თავადაზნაურობის მიერ დანაშაულობათა ჩადენის მიზეზი წმინდა სოციალური მიზეზია, იმ მხრივ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება უბიძგებს მათ დანაშაულის ჩასადენად. ნ. ნიკოლაძე ასაბუთებს, რომ თავადაზნაურობამ ხელი მიჰყო ძარცვას, ყაჩაღობას, ქურდობას და სხვ. იმის გამო, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ იგი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგან ის ფულადი გადასახადი, რაც მათ მიწის სანაცვლოდ მიეცათ, მალე შემოეხარჯა და თავი ქურდობით უნდა ერჩინა. ნ. ნიკოლაძემ უარყო მოსაზრება, რომლის მიხედვით დანაშაულის მიზეზად სასამართლო რეფორმა იყო დასაჩელებული და დაასაბუთა, რომ დანაშაული სოციალური მოვლენაა: „არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ დანაშაულობანი და შეცდომები იზრდებიან ან მცირდებიან არა სასჯელის მეტი ან ნაკლები სიმკაცრის, არამედ საზოგადოების მორალური და ეკონომიური ყოფის ცვლილებათა შედეგად“ [19].

იკვლევს რა ქუთაისის თავადაზნაურობის მიერ ჩადენილ დანაშაულების მიზეზებს, ნ. ნიკოლაძე ამასთან ცდილობს ზოგიერთი ღონისძიებების გატარებას მათი თავიდან აცილების მიზნით. ნ. ნიკოლაძეს ქუთაისის თავადაზნაურობის მხრივ მომავალში დანაშაულის აღსაკვეთად მიზანშეწონილად მიაჩნია თავადაზნაურობის დასაქმება, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მათთვის განათლების მიცემა, სხვადასხვა სასწავლებლების გახსნა და სხვ. „ამით და მხოლოდ ამით შეიძლება ძირშივე ჩავკლათ ის განუზომელი ბოროტება, რომელმაც უკვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება, — აქაურ მცხოვრებლების საკუთრებაზე და სიცოცხლეზე უამრავი ხელყოფის შედეგად მკაცრი ღონისძიებები და დაშინების გზით დიდი ხნით არ შეიძლება ჩავკლათ ბოროტება, რომელსაც ასეთი ღრმა ფესვები აქვს“ [20].

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ დანაშაულის აღკვეთა შეუძლებელია დაშინებით ან მკაცრი სისხლის სამართლის სასჯელებით. სამწუხაროდ,

ცდებოდა, როდესაც ფიქრობდა, რომ სხვადასხვა სასწავლებლებისა და ტექნიკუმების გახსნით თითქოს შესაძლებელი შეიქნებოდა „ძირშივე ჩაგვეყლა განუზომელი ბოროტებანი“. ამ შემთხვევაში ნ. ნიკოლაძე განმანათლებელთა პოზიციასზე დგას. სწორედ განმანათლებლები ფიქრობდნენ დანაშაულობათა თავიდან აცილებას განათლებისა და აღზრდის გზით. თავისთავად, განათლების უარყოფა, როგორც ერთ-ერთი საშუალება დანაშაულის თავიდან ასაცილებლად — არ შეიძლება, მაგრამ მისი გამოცხადება დანაშაულის თავიდან აცილების ძირითად ღონისძიებად — რა თქმა უნდა შეცდომაა. ეს გზა არამეცნიერულია. განმანათლებლებისათვის და მათთან ერთად ნ. ნიკოლაძისათვის უცნობი დარჩა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დანაშაული საზოგადოების ეკონომიური წყობითაა განპირობებული, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება არის დანაშაულის ძირითადი წყარო. ნ. ნიკოლაძეს ნათლად როდი ჰქონდა წარმოდგენილი, რომ საზოგადოების წევრთა ეკონომიურ უღონობას, რომელიც თავის მხრივ დანაშაულს იწვევს, ბადებდა წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრება და დანაშაულის აღკვეთა შეიძლებოდა სწორედ ამ უკანასკნელის მოსპობით.

მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი მოცემულ შემთხვევაში თავადაზნაურთა მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და მათი თავიდან აცილების საქმეში — მეტად ორიგინალურია და გამოირჩევა საკითხის ღრმა ცოდნით.

ნ. ნიკოლაძეს თავისი მოსაზრებანი დანაშაულის მიზეზების შესახებ გამოთქმული აქვს სტატიაში „მოძღვრება შეურაცხადობის შესახებ და ჩვენი „განათლებულები““.

აღნიშნულ სტატიაში ნ. ნიკოლაძე კონკრეტული ფაქტებით მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა გარემოებები ახდენენ გავლენას ადამიანთა უზნეო მოქმედებაზე ანუ ადამიანთა კანონსაწინააღმდეგო ქმედობებზე. ნ. ნიკოლაძე მიზნად ისახავს გაარკვიოს: „როგორი გავლენა აქვთ ადამიანის ხასიათსა და თვალსაზრისზე წრესა და მის ჩვეულებებს, როგორ მძიმე უღლად გვაწევს ჩვევების მემკვიდრეობა და სხვა“ [21].

ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ ის მოაზროვნეები, რომლებიც ადამიანის უზნეო ქცევის მიზეზად თვლიან წრეს და გარემოს, ასევე ჩვევებს — უარყოფენ „ნების თავისუფლების“ თეორიას. ამ თეორიის თანახმად კი თითქოს ადამიანი ბუნებით კეთილი ან ბოროტი იბადება და იმის მიხედვით, თუ რისი მატარებელია იგი — კეთილის თუ ბოროტი ნებისა — განისაზღვრება მისი ქცევა. ნ. ნიკოლაძე არ იზიარებს ამ თეორიას და ემხრობა მის მოწინააღმდეგე ახალ მიმდინარეობას, რომელმაც ადამიანის ქცევის განმსაზღვრელად წრე და გარემო აღიარა.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „უახლესმა მოაზროვნეებმა გაილაშქრეს ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ და დიალექტიკური მოსაზრებების და ზუსტი მეცნიერული დაკვირვების გზით დაამტკიცეს, რომ ადამიანის ბუნებაში არაა არავითარი ცუდი და კარგი, რომ ხასიათი იქმნება გარეშე გარემოებათა ერთობლივი გავლენით, რომ ინდივიდუალური სიცოცხლის ცუდი გამოვლენებათა ძირშივე აღკვეთისათვის აუცილებელია არა „ბოროტ არსებათა“ მოსპობისათვის ბრძოლა



და მხოლოდ კეთილი ანგელოზების დაბადების ლოდინი, არამედ უკვე უზრუნვა ამ ცუდ გამოვლინებების გამომწვევ არაკეთილსასურველი გარემოებებისა და ცხოვრების პირობების აღსაკვეთად... ამ მეცნიერულ-ფილოსოფიური მოძღვრების საფუძვლები და დასკვნები სავსებით აბათილებენ წინათ გაბატონებულ შეხედულებებს საზოგადოებრივ წყობილებაზე და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე [22].

როდესაც ნ. ნიკოლაძე ე. წ. „უახლეს მოაზროვნეებზე“ ლაპარაკობს, მას მხედველობაში ალბათ რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატები ჰყავს. სწორედ ამ უკანასკნელებმა მიიჩნიეს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელად ის გარემო და წრე, სადაც ადამიანს უნდება ცხოვრება.

როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძე მთლიანად ეთანხმება „უახლეს მოაზროვნეებს“, რომელთა მიხედვით „ადამიანის ბუნებაში არაა არავითარი ცუდი და კარგი, რომ ხასიათი იქმნება გარეშე გარემოებათა ერთობლივი გავლენით“. საქმე ის არის, რომ მარქსიზმი მთლიანად როდი უარყოფს ბიოლოგიურ მემკვიდრეობას. მარქსიზმი ცნობს ბიოლოგიურ მემკვიდრეობას, მაგრამ გადაწყვეტ მნიშვნელობას როდი ანიჭებს მას ადამიანის ქცევის განმსაზღვრისათვის. მარქსიზმის სახელმძღვანელო მითითების თანახმად, ბიოლოგიური მემკვიდრეობა შეიძლება ქცევებშიაც გამოიხატოს. ამასთან, მემკვიდრეობითი ქცევა შეიძლება იყოს დადებითიც და საზოგადოებისათვის მიუღებელიც. საბოლოოდ კი მემკვიდრეობით მიღებული უარყოფითი ქცევების შეცვლა, მათი აღზრდა შესაძლებელია გარემო პირობების შეცვლით და სხვადასხვა ღონისძიებათა გატარებით.

ამ ბოლო ხანებში ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ძალიან ბევრს წერენ ე. წ. „თანდაყოლილ“, „ბუნებით დამნაშავეებზე“. საბჭოთა იურიდიული და სპეციალური ლიტერატურა კატეგორიულად უარყოფს „თანდაყოლილი დამნაშავეების“ თეორიას [23]. 1973 წელს გამოცემულ პოპულარულ ნაშრომში «От преступления к наказанию» დოკ. ბ. ვ. ვოლჟენკინი კრიმინოლოგიის პრობლემებზე მსჯელობისას იმ დასკვნამდე მიდის, რომ «у многих выдающихся людей можно обнаружить и психологические черты личности, и чрезмерную возбудимость, и мнимость и т. д., однако направленность поведения определяется не биологическими, а социальными качествами, жизненной ориентацией личности. Только в случае, когда данный субъект социально как следует не воспитан, его психофизические особенности могут способствовать совершению преступления» [24].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნ. ნიკოლაძე მთლიანად უარყოფს ბიოლოგიური მემკვიდრეობის არსებობას და აღნიშნავს: „ადამიანის ბუნებაში არ არის არავითარი ცუდი და კარგი“. ეს კი ნ. ნიკოლაძის შეცდომად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ როდესაც ეხება საკითხს, თუ რა განმსაზღვრავს ადამიანის ქცევას — აქ იგი უსიტყვოდ ეთანხმება „ახალ მოაზროვნეებს“ და მათ მსგავსად აღიარებს, რომ ადამიანის ქცევის განმსაზღვრელია ის გარემო, სადაც იგი იზრდება და მოღვაწეობს. ამ მოსაზრებით ნ. ნიკოლაძე მატერიალისტად წარმოგვიდგება. კიდევ მეტი — ნ. ნიკოლაძეს „ახალ მოაზროვნეთა“ მსგავსად მიაჩნია, რომ „ინდივიდუალურ სიცოცხლის ცუდი გამოვლინებათა ძირშივე ალკვეთისათვის... საჭიროა ზრუნვა, ამ ცუდი გამოვლინებების გამომწვევ არაკეთილსასურველი გარემოებებისა და ცხოვრების პირობების აღსაკვეთად“. ამრიგად, ნ. ნიკოლაძეს მი-

ახნია, რომ დანაშაული არის სოციალური მოვლენა და ამ მოვლენის აღმოფხვრის შესაძლებელია იმ გარემოს გარდაქმნით, რომელშიც დამნაშავეს უხდება ცხოვრება.

სამართლის ისტორიის კათედრა

• ლ ი ბ მ რ ა ტ შ რ ა

1. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 10.
2. იქვე, გვ. 72.
3. დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 29.
4. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 285—286.
5. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 340—341.
6. იქვე.
7. იქვე.
8. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 349.
9. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 355.
10. Криминология, М., 1968, стр. 37—38.
11. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 15.
12. Криминология, М., 1968, стр. 38—39.
13. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 250—254.
14. Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, т. VII, Госполитиздат, стр. 265, 1950 г.
15. Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, т. V, стр. 165.
16. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 279.
17. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 9.
18. იქვე, გვ. 14.
19. იქვე, გვ. 15.
20. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 15—16.
21. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 275.
22. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 277.
23. А. Герцензон. Новые попытки возрождения ломброзианства в зарубежной криминологии. «Социалистическая законность», 1970, № 8; А. П. Пехов, Наследственность и социальная среда. «Здоровье», 1969, № 12; М. Д. Шаргородский. Этика или генетика? «Новый мир», 1972, № 5.
24. От преступления к наказанию. Ленинград, 1973, стр. 17—18.

В. Д. МЕТРЕВЕЛИ

НИКОЛАИ ЯКОВЛЕВИЧ НИКОЛАДЗЕ О ПРИЧИНАХ
ПРЕСТУПНОСТИ

Резюме

Выдающийся грузинский деятель, публицист, экономист, юрист, журналист, литератор Н. Я. Николадзе (1843—1928) занимает почетное место в истории грузинской общественной мысли второй половины XIX и первой четверти XX века.

В своих многочисленных трудах Н. Николадзе освещает следующие юридические проблемы: назначение и сущность юриспруденции, закона



и законодательства, институты преступления и наказания, причины преступности и пути их искоренения, проблемы правовой защиты и многие другие.

Причины преступности Н. Николадзе рассматривает с позиций материализма. По его мнению, преступление — социальное явление. Еще в 1866 г. 23-летний юноша смело заявляет, что преступления в России обусловлены экономической отсталостью страны, что экономический строй России вынуждает человека совершать общественно опасные деяния.

Нико Николадзе отрицает существование так называемых «рожденных преступников». Этим он отвергает теорию антропологической школы права и резко критикует ее.

Н. Николадзе высказывает свой взгляд на вопрос предупреждения преступности. По его мнению, для предупреждения преступления необходимо улучшение той социальной среды, в которой живет будущий преступник.

Н. Николадзе не считает строгие меры наказания средством предупреждения преступления.

В вопросах рассмотрения причин преступления и путей его искоренения, Н. Николадзе выявляет определенное сходство с соображениями русских революционных демократов, ибо он воспитывался на их идеях.

V. METREVELI

N. NIKOLADZE ON THE CAUSES OF CRIMINAL OFFENCE

S u m m a r y

Niko I. Nikoladze, (1843 — 1928) a well-known public figure, ardent publicist, economist, lawyer, journalist and man of letters, holds a distinguished place in the history of Georgian thinking in the latter half of the 19th and the first quarter of the 20th century.

In his numerous writings on legal matters N. Nikoladze deals with the essence and purpose of jurisprudence, law and legality, the institutions of crime and punishment, the causes of crime and measures for their prevention, problems of legal defence and many other questions.


In his treatment of the causes of criminal offence N. Nikoladze adopts a basically materialistic stand. He views crime as a social phenomenon. As far back as 1866 he boldly wrote that crime was caused by the economic conditions of life — the economic system of a particular society leading men to commit criminal offences.

N. Nikoladze rejected the view according to which there exist "congenital criminals", thereby completely dissociating himself from the school of anthropological law.

In N. Nikoladze's view delinquency and crime can be prevented by improving the social environment in which man lives. This can, in his view, be attained through upbringing and education. He is opposed

to the use of strict punishment aimed at putting an end to crime,

In discussing the causes of crime and the ways of its prevention. N. Nikoladze adopts the position of the outstanding thinkers of the second half of the 19th century. This was due to the fact that N. Nikoladze was brought up on the ideas of the Russian revolutionary democrats (N. Chernishevski, N. Dobrolyubov and others). Like the Russian revolutionary democrats, N. Nikoladze pronounced bad living conditions to be the major cause of crime. He called for transforming the conditions of life as the way to crime prevention.



ფერის ფაქტორი ობიექტების სიდიდის მიმართ განსხვავების შეფასებაში

ნინო ალამაშვილი

1. ფერის გავლენით არატოლად განცდილი, ობიექტურად ტოლი ფიგურების განსაზღვრებით მოქმედება

განსხვავებული ფერის წრეების სიდიდის ურთიერთთან გატოლების ცდებში გვიჩვენა, რომ ეს წრეები ცდისპირის მიერ მათი გატოლების მიუხედავად, ობიექტურად უტოლო აღმოჩნდებიან ხოლმე, და რომ სხვაობა წრეთა სიდიდეში, ანუ დაშვებული შეცდომა, აქ მნიშვნელოვნად უფრო მეტია, ვიდრე ერთნაირი ფერის წრეების გატოლების დროს (2). ცხადია, წრეთა სიდიდის სხვაობის ეს ნამატი წრეთა ფერის განსხვავებით არის გამოწვეული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სიდიდის აღქმაზე ფერის გავლენა არსებობს [6, გვ. 55].

ისმის საკითხი: არის თუ არა შესაძლებელი უტოლობის განწყობის შემუშავება და ფიქსირება ფერით განპირობებული სიდიდის განსხვავების საფუძველზე?

ამ საკითხის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როცა განსაზღვრული წრეები სიდიდით ტოლი არიან, მაგრამ უტოლოდ აღიქმებიან მხოლოდ იმის გამო, რომ სხვადასხვა შეფერილობა აქვთ. ასეთი წრეების განმეორებითი აღქმის შედეგი, გამოვლენილი ისევ ტოლი, მაგრამ ერთნაირი ფერის წრეების სიდიდის აღქმაში, გვიჩვენებს, იქმნება და ფიქსირდება თუ არა ფერით განპირობებული უტოლობის განწყობა, და თუ იგი იქმნება, როგორია მისი მოქმედება.

ჩვენს ცდებში საგანწყობო ცდებისათვის აღებული იყო ლურჯი და ყვითელი ფერები (ლურჯისათვის გამოყენებული იყო ცელოფანის 4 ლურჯი ფილტრი, ყვითელისათვის კი ცელოფანისავე 2 ნათელი ყვითელი ფილტრი). გატოლების ცდებში ყვითელი წრის დიამეტრის შეფარდება ლურჯი წრის დიამეტრთან საშუალოდ უდრიდა 0,940-ს. აქედან 7 ცდაში ცდისპირები ყვითელს ატოლებდნენ მოცემული სიდიდის ლურჯთან, ხოლო 11 ცდაში ლურჯ წრეს უტოლებდნენ ყვითელს. პირველ შემთხვევაში ყვითელის და ლურჯის დიამეტრების შეფარდება 0,945-ია, მეორე შემთხვევაში კი — 0,935.

ცდა შემდეგნაირად მიმდინარეობს:

1. ცდისპირს რუხ ეკრანზე ეძლევა ორი ტოლი ნათელი რუხი წრის (დია-



მეტრები 20,0 მმ-ს უდრის) ხანმოკლე (დაახლოებით 1 სეკუნდის ხანგრძლივობის) ექსპოზიცია. ცდისპირმა ეს წრეები ერთმანეთს უნდა შეადაროს სიდიდით და გამოთქვას აზრი მათი სიდიდის მიმართების შესახებ. ასეთი ექსპოზიცია სამჯერ მეორდება (რუხი ფერი მიღებულია ცელოფანის ერთი ლურჯი ფილტრით, რომელიც ანეიტრალებს საპროექციო ნათურის ნარინჯისფერ სხივებს).

2. რუხი ფერის წრეების გატოლება: ეკრანის მარცხენა მხარეზე ნათდება 20,0 მილიმეტრიანი დიამეტრის რუხი წრე, ხოლო მარჯვენა მხარეზე — პატარა ისეთივე რუხი წერტილი. ამ წერტილს ცდის ხელმძღვანელი თანდათან ადიდება, ცდისპირს კი ევალება აღნიშნოს თვალზომით, როდის გაუტოლდება იგი მარცხენა, უცვლელ წრეს. ამის შემდეგ ცდის ხელმძღვანელი განაგრძობს მარჯვენა წრის გადიდებას მანამდე, სანამ ცდისპირი არ შეენიშნავს მის მეტობას. იწერება ცვალებადი წრის დიამეტრის ზომა როგორც გატოლების, ისე გადამეტების მომენტში. ეს პროცედურაც 3-ჯერ მეორდება.

3. ყვითელი და ლურჯი წრეების გატოლება: მარცხნივ კვლავ მუდმივი სიდიდის წრე ნათდება, ლურჯი ან ყვითელი, იმ წესით, რომ ყვითელი თავსდება წინა ცდებში გამოვლენილი ბუნებრივი გადაფასების მხარეზე. მეორე მარჯვენა წრე, წერტილის სახით მოცემული, იწყებს თანდათან გადიდებას. ცდისპირი ამ შემთხვევაშიც აღნიშნავს მის გატოლებას მუდმივთან და შემდეგ მის გადამეტებას. ასეთი პროცედურა ტარდება მხოლოდ ერთხელ. მისი მიზანია დადგენილიქნას ცდისპირის აღქმაში ლურჯი და ყვითელი წრეების სიდიდეთა განსხვავების ზომა.

ამავე კანონზომიერებაზე მიუთითებენ სხვა ხასიათის მაჩვენებლებიც. № 1 ცხრილიდან ჩანს, რომ ასაკის გასწვრივ იზრდება იმ ც. პ-თა რიცხვი, რომლებიც სწორი პასუხების შედგენაში მონაწილეობენ. თუ პირველ კლასში ასეთი ბავშვების რაოდენობა შეადგენს 53,3%-ს, მეორე კლასში 55%-ს, ე. ი. 1,7%-ით მეტს, ვიდრე პირველში, მესამე კლასში — 75,3%-ს, რაც 20,3%-ით მეტია, ვიდრე მეორე კლასში და 22,0%-ით მეტი, ვიდრე პირველ კლასში; მეოთხე კლასში ასეთ ც. პ-თა რაოდენობა უკვე 96,6%-ია, რაც 21,3%-ით მეტია, ვიდრე მესამე კლასში, 41,6%-ით მეტი, ვიდრე მეორე კლასში და 43,3%-ით მეტი, ვიდრე პირველ კლასში. ამრიგად, საკვლევი ასაკის ბოლო ეტაპზე თითქმის ყველა ბავშვს შესწევს უნარი სწორად გადაწყვიტოს მის წინ დასმული ამოცანა, თუმცა სხვაობას მასალის ხასიათში აქაც შეაქვს თავისი კორექტივი. ამავე კანონზომიერების დადასტურებას წარმოადგენს იმ ც. პ-თა რიცხვის შემცირების დინამიკა, რომლებიც თუმცა იწყებენ ამოცანების გადაჭრას, მაგრამ შემდგომში უარს ამბობენ მის გაგრძელებაზე, ე. ი. არ შეუძლიათ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მოახერხონ გრამატიკულად სწორი და ლოგიკურად გამართული წინადადების აგება მოწოდებული სიტყვების გამოყენებით. ცხრილიდან ისიც ჩანს, თუ როგორ იზრდება სწორი პასუხების რაოდენობა ასაკის ზრდასთან ერთად. პირველ კლასში ერთ ც. პ-ზე საშუალოდ მოდის 1,6 სწორი პასუხი, მეორე კლასში — 1,9, მესამეში — 2,0, მეოთხეში კი — 2,3.

საკვლევი უნარის განვითარების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ იმ მაჩვენებლების მიხედვითაც, რომლებიც შედგენილი წინადადების ლექსიკურ მოცულობას გვითვალისწინებენ. ცხრილი გვიჩვენებს, რომ ც. პ-თა ასაკის ზრდასთან შეფარდებით იზრდება წინადადებების მოცულობაც, ე. ი. იზრდება მასში ჩართული სიტყვების რაოდენობა. თუ პირველკლასელი ადგენს წინადადებას, რომლებზედაც საშუალოდ 5,2 სიტყვა მოდის, მეოთხეკლასელს უნარი შესწევს მოიფიქროს წინადადება, რომელიც საშუალოდ 6,6 სიტყვას მოიცავს ე. ი. 1,4 სიტყვით მეტი, ვიდრე პირველკლასელის წინადადებაა. ეს ფაქტი იმას გვიჩვენებს, თუ როგორ ფართოვდება ვერბალურ-ლოგიკური ოპერაციების წარმოების დიაპაზონი; რომ, რაც უფრო მაღალია ც. პ-ის ასაკობრივი დონე, მით უფ-

რო ადვილად ახდენს მეტი ვერბალური მასალის სინთეზირებას ერთ ლოგიკურ-გრამატიკულ სტრუქტურაში.

გარკვეულ კანონზომიერებას გამოხატავს დროითი მაჩვენებელიც. ცხრილში წარმოდგენილია საშუალო დროის მონაკვეთი, რომელიც მოდის ერთი სიტყვის მოფიქრებაზე, როგორც ვერბალური აზროვნების ერთგვარ ერთეულზე. ამ მონაცემებით ჩანს, რომ ასაკის პარალელურად, თუმცა არარეგულარულად, ეს დრო თანდათან მცირდება. სურათი უფრო ნათელი იქნება, თუ ამ მაჩვენებლებს ავიღებთ ორი ასაკობრივი დონის მიხედვით. პირველ დონეზე (I—II კლასები) ერთი სიტყვის მოფიქრებაზე საშუალოდ მოდის 4.3 წამი, მეორე დონეზე კი (III—IV კლასები) 3,3 წამი, ე. ი. შესამჩნევად ნაკლები. ეს კანონზომიერება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ასაკის ზრდის შესაბამისად უფრო ადვილად ხდება საჭირო ვერბალურ-ლოგიკური ოპერაციების წარმოება-გონებრივი მოქმედების დონეზე, ანუ შინაგანი მეტყველების ასპექტში.

ეხლა გადავიდეთ № 2 ცხრილის ანალიზზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეულ სერიაში ც. პ-ებს უნდა შეედგინათ სამ-სამი წინადადება. ერთმანეთისაგან განსხვავებული წინადადებების შედგენის შესაძლებლობა, ე. ი. ერთსა და იმავე მასალაზე კომბინირების სხვადასხვა ვარიანტების შექმნის უნარი შეიძლება იყოს არსებული ლექსიკური პოტენციალის გადასტრუქტურების მოქნილობის მაჩვენებელი. აქაც მივუთითებთ ძირითად მაჩვენებლებზე: ცხრილიდან ჩანს, რომ ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება ორ და სამეზარიანტიანი წინადადებების შედგენის უნარი. თუმცა მასალის ხასიათს შეაქვს თავისი კორექტივი, მაგრამ ასეთი უნარის განვითარების საერთო სურათი სახეზეა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ისიც, რომ პირველ და მეორე კლასებში არაა სამეზარიანტიანი პასუხები, შემდეგ კი ისინი თავს იჩენენ, ხოლო მეოთხე კლასში ერთვარიანტიან პასუხებს საერთოდ ვეღარ ვხვდებით — ყველა სწორი პასუხი შეიცავს ორ და სამეზარიანტიან წინადადებებს.

ფაქტების განხილვის დასასრულს შევჩერდეთ ც. პ-თა სამეტყველო ორგანოების მდგომარეობაზე ცდის მსვლელობის დროს. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აქაც გარკვეულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. ასაკის ზრდის გასწვრივ სულ უფრო მცირდება სამეტყველო ორგანოების გარეგნულად შესამჩნევი მოძრაობები. მეოთხე კლასში ეპიზოდურია შემთხვევები, როდესაც ც. პ. დავალებას ასრულებს სამეტყველო ორგანოების მოძრაობის თანხლებით. უნდა ვიფიქროთ, რომ განვითარების ამ ეტაპზე შინაგანი მეტყველება იძენს „დამოუკიდებლობას“ იმ ზომით, რომ აღარ საჭიროებს, როგორც დასაყრდენს, ამდგვარ მოძრაობებს.

ასეთია მოპოვებული ფაქტების ზოგადი მიმოხილვა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თვით ის ფაქტი, რომ საკვლევი ასაკის ბავშვებში უკვე დასტურდება უნარი — აწარმოონ ვერბალურ-ლოგიკური ოპერაციები გონებაში, წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოების ფარგლებში*. უნდა ვიფიქროთ, რომ სპონტანური აქტიობისას ამ უნარის მოქმედების დიაპაზონი უფრო ფართოა.

* ამ ფაქტს ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ამგვარი უნარის დადასტურება არ მოხერხდა (5).

კლასები	ტ. პათა რაოდენობა	მასალის ხასიათი	სწორი პასუხების რაოდენობა						არასწორი პასუხების რაოდენობა	
			ერთვარიან-ტიანი პასუხები		ორვარიან-ტიანი პასუხები		სამვარიან-ტიანი პასუხები		არასწორი პასუხების რაოდენობა	
			აბსოლ.	% ¹	აბსოლ.	%	აბსოლ.	%	აბსოლ.	%
I	20	1. სამი სიტყვა (თვალსა-ჩინო შინაარსის)	5	8,3	9	15,0	4	6,6	23	38,3
		2. სამი სიტყვა (აბსტრაქ-ტული შინაარსის)	6	10,0	5	8,3	1	1,6	26	43,3
		3. ხუთი სიტყვა ჯამი	1	1,6	1	1,6	—	—	44	73,0
			12	6,6	15	8,3	5	2,7	93	51,6
II	20	1. სამი სიტყვა (თვალსა-ჩინო შინაარსის)	5	8,3	6	10,0	7	11,6	22	35,0
		2. სამი სიტყვა (აბსტრაქ-ტული შინაარსის)	5	8,3	1	1,6	3	5,0	38	63,3
		3. ხუთი სიტყვა ჯამი	4	6,6	2	3,3	—	—	51	85,0
			14	7,7	9	4,6	10	5,5	111	61,6
III	20	1. სამი სიტყვა (თვალსა-ჩინო შინაარსის)	5	8,3	8	13,0	7	11,6	18	30,0
		2. სამი სიტყვა (აბსტრაქ-ტული შინაარსის)	8	13,0	7	11,6	2	3,3	31	51,6
		3. ხუთი სიტყვა ჯამი	8	13,0	1	1,6	2	3,3	43	71,6
			21	11,6	16	8,8	11	6,4	92	51,1
IV	20	1. სამი სიტყვა (თვალსა-ჩინო შინაარსის)	—	—	7	11,6	13	21,0	7	11,3
		2. სამი სიტყვა (აბსტრაქ-ტული შინაარსის)	6	10,0	5	8,3	9	15,0	16	26,6
		3. ხუთი სიტყვა ჯამი	7	11,6	5	8,3	6	10,0	24	40,0
			13	7,2	17	9,4	28	15,5	47	26,1

¹ 60 შესაძლებელი პასუხების მიმართ

ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მოტანილი ფაქტები ადასტურებენ შინაგანი მეტყველების არა მარტო არსებობის ფაქტს, არამედ მის განვითარებაზეც მიუთითებენ. ამ განვითარების ზოგიერთი თავისებურება ჩვენ უკვე ვნახეთ. აღნიშნულთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

კვლევის შედეგად ერთ-ერთი ზოგადი კანონზომიერების სახით გამოირკვა, რომ ყველა ასაკობრივი საფეხურის ბავშვები უფრო ადვილად ახერხებენ ვერბალურ-ლოგიკური ოპერაციების წარმოებას თვალსაჩინო ხასიათის მასალაზე, ვიდრე განყენებული ხასიათის შინაარსებზე. იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ეს ფაქტი, საჭიროა ორიოდ სიტყვით აღინიშნოს, თუ რა განსაკუთრებული გარემოება იქმნება გონებრივი მუშაობის თვალსაზრისით ც. პ-ებში, როცა ჩვენ ვაწვდით ერთი მხრივ თვალსაჩინო, ხოლო მეორე მხრივ განყენებული ხასიათის შინაარსებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ექსპერიმენტული პირობებით შექმნილი და-

ვალების შესრულებისას მათი ცნობიერების სტრუქტურაში ხდება გარკვეული ცვლილებები.

თვალსაჩინო შინაარსის მქონე სიტყვების გამოყენების შემთხვევაში მანამ, სანამ ვერბალურ-ლოგიკური კონსტრუქცია საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდეს, ცნობიერებაში საჭირო შინაარსების შეჩერებისათვის უპირატესად უნდა გამოიყენებოდეს თვალსაჩინო, კონკრეტული ხატები, რომლებიც ამ შინაარსების პრეზენტაციას ახდენენ. ამიტომ ბუნებრივია დავუშვათ, რომ ასეთი ხატები გარკვეული ზომით ცვლიან ვერბალურ საშუალებებს და მათ ფუნქციონალურ ეკვივალენტებს წარმოადგენენ.

რაც შეეხება განყენებულ შინაარსებს, მათი ცნობიერებაში აქტუალიზაციისათვის ვერბალური საშუალებები უფრო მეტად საჭირონი არიან. სიტყვა ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიდეს როგორც აუცილებელი საყრდენი განყენებული შინაარსების ფიქსაციისათვის, რამდენადაც გაძნელებულია აბსტრაქტული შინაარსის ხატოვანი განსახიერება.

ამრიგად, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს სწორი პასუხების სიუხვესთან თვალსაჩინო შინაარსებზე ოპერირებისას, გონებრივი ოპერაციები უფრო მეტად ეყრდნობიან თვალსაჩინო ხატებს, ვიდრე ვერბალური საშუალებების გამოყენებას; ეს გარემოება თავის მხრივ შინაგანი მეტყველების განვითარების შედარებით დაბალი დონის მაჩვენებელი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი განვითარება აჩქარებული ტემპით ხდება, რაც დასტურდება სწორი პასუხების განუხრელი ზრდით განყენებულ მასალაზე, ე. ი. აზროვნების ვერბალური საშუალებები სულ უფრო მეტად ჩართულია საჭირო ოპერაციების წარმოებაში.

ჩვენს მიერ აღწერილი გარემოება, ჩვენის აზრით, კარგად ეთანხმება და ადასტურებს ლ. ვიგოტსკის ზემოთ მოყვანილ კონცეფციას, რომლის თანახმადაც შინაგანი მეტყველება დაწყებითი სკოლის საფეხურზე ხასიათდება როგორც ნორჩი, ჯერ კიდევ მოუმწიფარი წარმონაქმნი და რომელიც ამ დონეზე ხშირად იყენებს თვალსაჩინო ხატებს. აქ „მედლის მეორე მხარე“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისაა, რომ „წმინდა“ ვერბალური მოქმედებები ამ დონეზე გაძნელებულია და მათ ადგილს ამიტომ უფრო ადვილად განსახორციელებელი თვალსაჩინო-ხატოვანი საშუალებები იჭერენ.

მოზრდილი ადამიანის აზროვნება ამ თვალსაზრისით იმით ხასიათდება, რომ მასში თვალსაჩინო-ხატოვანი ელემენტებისა და ვერბალური სიმბოლოების შეფარდება სხვანაირია. სიმოკლისათვის აქ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ისეთი ავტორიტეტის ციტირებით, როგორიცაა ა. ბინე [2]. აჯამებს რა თავისი გამოკვლევის შედეგებს, იგი წერს: „მასადაამე ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხატი წარმოადგენს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ისეთი მოვლენისას, რომელსაც აზროვნებას უწოდებენ“; „ჩვენი აზრის მსვლელობას უპირატესად გამოხა-



ტავს შინაგანი მეტყველება“; და შემდეგ. „იმ შემთხვევებში, როდესაც აზროვნება ახერხებს ხატების თავიდან აცილებას, მაშინ არსებით ადგილს შინაგანი მეტყველება იჭერს“.

როგორც ვნახეთ, შინაგანი მეტყველების განვითარება სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს. იგი სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს ბავშვის აზროვნებაში; ჩანს, რომ იგი თანდათან გადაიქცევა აზროვნების შინაარსებზე ოპერირების ძირითად იარაღად და როგორც ფუნქციონალური ისე სტრუქტურული თვალსაზრისით მოზრდილის შინაგან მეტყველებას მიუახლოვდება.

ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. Б. Г. Ананьев, Постановка проблемы развития детского самосознания, Известия АПН РСФСР, № 18, Москва, 1948.
2. А. Бине, Мышление без образов. Приложение к книге А. Н. Введенского. «Лекции психологии», С.-Петербург, 1908.
3. Л. С. Выготский, Избранные психологические произведения. Москва, 1956.
4. И. В. Страхов, Психология внутренней речи. Саратов, 1969.
5. მჭედლიშვილი გ. — შინაგანი მეტყველების საკითხისათვის სკოლამდელ ასაკში. კრება „ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის ინსტიტუტების VI გაერთიანებული სესიის მასალები“, თბილისი, 1970.
6. მჭედლიშვილი გ. — შინაგანი მეტყველების განვითარების საკითხისათვის საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებში (V—X კლ). ხელნაწერი.

Г. Н. МЧЕДЛИШВИЛИ

О РАЗВИТИИ ВНУТРЕННЕЙ РЕЧИ В ПЕРВОМ ШКОЛЬНОМ ВОЗРАСТЕ

Резюме

Исследование касается проблемы развития внутренней речи у детей первого школьного возраста — мало разработанной в психологической литературе.

В работе делается попытка создать экспериментальные условия, требующие от испытуемых осуществления таких умственных операций, которые подразумевают участие внутренней речи.

Испытуемым в трех сериях опытов предлагались лексические единицы, отличающиеся по сериям как количественно, так и семантически (наглядные и абстрактные содержания). Испытуемые должны были в течение определенного времени создавать в плане умственных действий

грамматически и логически правильные предложения в трех вариантах с обязательным использованием предложенных слов (по мере надобности они могли привлечь и другие слова).

Показано, что в производимых вербально-логических конструкциях отражаются некоторые закономерности, проливающие свет на развитие внутренней речи. Было установлено, что параллельно с возрастом растет число правильных ответов в разных вариантах, их число на материале большего объема, а также с использованием отвлеченных содержаний, расширяется словарный объем предложений, и вместе с тем сокращается время на процессы обдумывания.

G. MCHEDLISHVILI

ON THE DEVELOPMENT OF INNER SPEECH OF THE FIRST SCHOOL
AGE CHILDREN


S u m m a r y

The problem of the development of inner speech among first school age children is investigated.

An attempt was made by the author to create experimental conditions in which the subjects have to fulfil such mental operations that call forth the activation of inner speech.

The subjects were given lexical units that differed quantitatively and lexically according to the series. The Ss were required to create logically and grammatically correct sentences in three variants, using the words supplied (they could also use some other words).

The verbal-logical constructions formed by the Ss reflect some regularities of the development of inner speech. It was found that with the increase of age the number of correct answers in different variants increases; the lexical vocabulary of sentences is widened and the time necessary for the operation decreases.



წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების განვითარება სასკოლო ასაკში (7-დან 17 წლამდე)

რ ე ვ ა ზ ნ ა თ ა ძ ე

I. საკითხი

წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება არსებითად განსხვავებულია თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით და ეფექტურობითაც, იმის მიხედვით, წარმოიდგენს ადამიანი იმას, რასაც ის რეალურად მიიჩნევს (ე. ი. ნამდვილად არსებულის — რეალურად მოცემულის წარმოდგენად მიაჩნია) თუ პირიქით, იცის წარმოდგენილის არარსებობის შესახებ; იცის, რომ წარმოდგენილი რეალურად არაა მოცემული და ამ აზრით არარეალურია.

ჩვენ ექსპერიმენტულად გვაქვს შესწავლილი რეალურად არარსებულის წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება, დადგენილი გვაქვს ამგვარი წარმოდგენით განწყობის შემუშავების შესაძლებლობა, მისი განმაპირობებელი ფაქტორები, გამოვლენილი გვაქვს ამ გზით განწყობის შემუშავების უნარის დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობები, კერძოდ, ძალიან მაღალი კორელაცია ამ უნარსა და სასცენო გარდასახვის უნარს შორის [2]. ბუნებრივად ჩვენს წინ დადგა პრობლემა ამ უნარის ონტოგენეტური განვითარებისა, მისი შესწავლისა ბავშვობის ასაკში.

საქმე ის არის, რომ ბავშვი ისე რეაგირებს „ილუზიის თამაშში“ წარმოდგენილი ობიექტის მიმართ სხვის მიერ მოქმედებაზე, თითქოს ეს მისი ფანტაზიის მიერ შექმნილი ობიექტი რეალურად არსებობდეს: თუ ვინმე „აწყენინებს“ კილოფში გახვეულ ხის ნაჭერს, რომელსაც ნანას უმღერის გოგონა — მისი „დედა“, ეს ნამდვილად ეწყინება, შეიძლება აცრემლდეს კიდევაც. ასეთ დაკვირვებათა საფუძველზე ზოგი ავტორი დაასკვნინდა, რომ ბავშვს მართლა სჯერა წარმოსახულის რეალობა. თუმცა შემდეგში ეს საკმაოდ გულუბრყვილო თეორია გაბათილდა (კ. ბიულერი, ვ. შტერნი), მაგრამ გავრცელებული შეხედულებების თანახმად ბავშვი ილუზიურ თამაშში ამქლავნებს გაცილებით მეტ „შთაგრძნობას“ წარმოსახულში, ე. ი. განწყობის თეორიის თანახმად, უფრო ადვილად იმუშავებს განწყობას წარმოსახული არარეალურის მიმართ, ვიდრე ზრდადამთავრებული ადამიანი. შემთხვევითი კი არ არის, რომ თეატრალური შემოქმედების უდიდესი თეორეტიკოსი — სტანისლავსკი — მოუწოდებდა მსახიობებს: «Вот когда вы дойдете до правды и веры детей в их играх, тогда вы сможете стать великими артистами» [3, 257].

ბავშვის ასეთი ქცევა, ასეთი დამოკიდებულება „ილუზიურ თამაშში“ წარმოსახულის მიმართ, ბუნებრივად სვამს საკითხს წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების ონტოგენეტური განვითარების შესახებ და, პირველ რიგში,



საკითხს ისეთი წარმოსახული სიტუაციის განმაწყობელი მოქმედების შესახებ რივი განვითარების შესახებ, რომელიც არ შეესატყვისება რეალურად მოცემულ სიტუაციას, რომლის არარეალურობის შესახებ სუბიექტმა კარგად იცის და აღიქვამს კიდევაც სხვა სიტუაციას, წარმოსახულისაგან განსხვავებულს.

ჩვენი მრავალი ცდების შედეგად ზრდადამთავრებულ ადამიანებზე ამის შესაძლებლობა უდავოდ დადგინდა [4]. ახლა ჩვენს წინაშე დგას საკითხი ამ უნარის ონტოგენეტური განვითარების შესახებ.

ჩვენც მიზნად დავისახეთ ბავშვის ამ უნარის განვითარების შესწავლა ჯერ სასკოლო ასაკში და მომავალში — სკოლამდელ პერიოდში. წინამდებარე ნაშრომში ვიხილავთ იმ ექსპერიმენტულ მასალას, რომელიც მივიღეთ პირველ, მეორე და უფროს სასკოლო პერიოდში, ე. ი. მთელი სასკოლო პერიოდის გასწვრივ I კლასიდან X კლასამდის.


II. მეთოდი

საკითხის საკვლევად გამოვიყენეთ ის 4 მეთოდი, რომლითაც ძირითადად შესწავლილი გექონდა წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება ზრდადამთავრებულ ცდისპირებზე [1]. სახელდობრ, ცდები ჩატარებული იყო შემდეგი 4 მეთოდით.

1. ცდისპირს ხელები დალაგებული აქვს მაგიდაზე ხელისგულებით. თვალები დახუჭულია. მას ევალება რაც შეიძლება ნათლად წარმოიდგინოს, „განიცადოს“, ვითომ გადმობრუნებულ ხელებში ეძლევა სიდიდის შესადარებლად ორი ხის ბურთი — ერთში იმდენად დიდი, რომ ის ძლივს უჭერს მას თითებს, მეორეში სულ პატარა — კაკლისოდენა ბურთი. რაც შეიძლება ნათლად წარმოიდგინოს, ვითომ თითებს უჭერს ამ ორ განსხვავებული სიდიდის ბურთს. როდესაც ცდისპირი ამას ნათლად წარმოიდგენს, გვანიშნებს ამას თავის დაქნევით. ეს აქტი მეორდება 15-ჯერ, რის შემდეგ გადავდივართ კრიტიკულ ცდებზე: ისევ თვალდახუჭულ ცდისპირს ეძლევა სიდიდის შესადარებლად უკვე რეალურად გადმობრუნებულ ხელებში ტოლი ხის ბურთები, რომელთა აღქმაში უნდა გამოვლინდეს საგანწყობო ცდებში განსხვავებული სიდიდის ვითომ ჰაბტურად აღქმული ბურთების წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა.

2. თვალდახუჭულ ცდისპირს ხელები ისევ ხელისგულებით დაწყობილი აქვს მაგიდაზე. ევალება რაც შეიძლება ნათლად წარმოიდგინოს, „განიცადოს“, თითქოს ზონრების მეშვეობით ორივე ხელით ერთდროულად სწევს ზევით განსხვავებული სიმძიმის ორ „გირას“, — ერთი ხელით ძალიან მძიმეს, მეორით სულ მჩატეს — და შეადაროს მათი განსხვავებული სიმძიმე. როდესაც ცდისპირი გვანიშნებს, რომ წარმოიდგინა დავალბებული მოქმედება, გადავდივართ კრიტიკულ ცდაზე. ისევ თვალდახუჭულ ცდისპირს ეძლევა ტარების მეშვეობით ასაწევად სიმძიმის შესადარებლად ორი ტოლი სიმძიმის საგანი. საგანწყობო ცდებში განსხვავებული სიმძიმეების აწევის წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა უნდა გამოვლინდეს ამ რეალურად აწეული ტოლი სიმძიმეების ილუზიურად — არატოლად — აღქმაში.

3. მესამე ცდაში თვალდახუჭულ ცდისპირს ორივე ხელში ეძლევა ჰაბტურად აღსაქმელად ტოლი ხის ბურთები და, როდესაც ცდისპირი დარწმუნდება



მათ ტოლობაში, მას ევალება, რაც შეიძლება ნათლად, თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს, „განიცადოს“, რომ ერთ ხელში თითებს უჭერს დიდ ბურთს, ისე რომ მას ძლივს წვდება თითები, მეორე ხელში კი სულ პატარას.

განსხვავება პირველი ცდისაგან იმაშია, რომ აქ განსხვავებული სიდიდის ბურთების ჰაბტურ წარმოღვევნას ეწინააღმდეგება ტოლი ბურთების რეალური, აქტუალური აღქმა, რასაც არა აქვს ადგილი პირველ ცდაში.

4. მეოთხე ცდაში თვალდახუჭულ ცდისპირს, ისევე როგორც მეორე ცდაში, ევალება განსხვავებული სიმძიმის ბურთების თვალსაჩინო წარმოდგენა, იმ განსხვავებით, რომ ახლა ეს ევალება რეალურად ტოლი სიმძიმეების ზონრის მეშვეობით აწევის პროცესში, ე. ი. რეალურად აქტუალური აღქმის წინააღმდეგობის პირობებში.

ცდები ჩაატარეს უნივერსიტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომლებმა — ვ. ისაკაძემ და ც. სალუქვაძემ.

III. მიღებული შედეგები

1

უპირველეს ყოვლისა უნდა განვსაზღვროთ ბავშვის პასუხების შეფასება: როგორი პასუხები უნდა ჩაითვალოს განწყობის გამოვლინებად და რა სახის გამოვლინებად.

1. რადგანაც საკონტროლო ცდაშიც, საგანწყობო ცდების გარეშეც, ზოგი ბავშვი იძლევა ტოლ ობიექტთა სიდიდის ან სიმძიმის რხევად შეფასებას (ხან მარჯვენა, ხან მარცხენა საგანი ეჩვენება უფრო დიდად resp, უფრო მძიმედ) და კრიტიკულ ცდაშიც ასეთ რხევად შეფასებას იძლევა, ამ შემთხვევაში საგანთა შეფასების ასეთი რხევა საგანწყობო ცდების შემდეგაც უნდა შეფასდეს უარყოფითად, ე. ი. უნდა ჩაითვალოს, რომ ცდისპირმა ფიქსირებული განწყობა ვერ შეიმუშავა.

მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საკონტროლო ცდებში საგნები შეფასდებიან ადეკვატურად, ე. ი. ტოლად, ხოლო კრიტიკულ ცდებში შეფასება ხშირ-ხშირ რხევას იძლევა (ხან მარჯვენა და ხან მარცხენა საგანი ეჩვენება უფრო დიდად resp, უფრო მძიმედ) და საბოლოოდ კი ტოლად შეფასდება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთ ცდისპირს საგანწყობო ცდების შედეგად რაღაც ისეთი განწყობა შეუმუშავდა, რომელიც ხელს უშლის მას კრიტიკული ტოლი საგნები ტოლად შეაფასოს; პირობითად შეიძლება გვეწოდებინა ასეთი განწყობისათვის ზოგადად სხვაობის აღქმის განწყობა, ამიტომ მასალის დამუშავებისას ჩვენ ასეთი შედეგები ჩავთვალეთ „სხვაობის ზოგადი განწყობის“ შემუშავებად. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში ცდისპირს უმუშავდება უფრო სუსტი განწყობა, ვიდრე როდესაც კრიტიკულ ცდებში იძლევა ზედიზედ ასიმილაციურ ან კონტრასტულ ილუზიას, მაგრამ უდავოა, რომ ამ შემთხვევაშიც საგანწყობო ცდების შედეგად იგი სხვაგვარად, სხვა განწყობით აღიქვამს მიწოდებულ ტოლ საგნებს!

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რხევადი შეფასება დაუბოლოვებელ ხასიათს ატარებს —30—35 ექსპოზიციაზე ვრცელდება. — ჩვენ ამ შე-



დღეს უარყოფითად ვაფასებთ, ე. ი. ვთვლით, რომ ფიქსირებული განწყობა ვერ შემუშავდა, მიუხედავად იმისა, რომ საკონტროლო ცდაში საგნობრივად იყო შეფასებული. თვალდახუჭულად ჰაბტურად ტოლი ბურთების სიდიდის ან ასაწევ საგანთა სიმძიმის ზუსტი შეფასება წინასწარ ფიქსირებული განწყობის გარეშეც ხშირად უჭირთ ხოლმე ცდისპირებს: ხან ერთი, ხან მეორე ეჩვენებათ უფრო დიდად ან უფრო მძიმედ. მართალია, ეს მოვლენა საკმაოდ ხშირად თავს იჩენს საკონტროლო ცდებშიც. მაგრამ ასეთი შეფასების დაუბოლოვებელი რხევა კრიტიკულ ცდებში, მაშინ როდესაც საკონტროლო ცდაში მას ადგილი არ ჰქონდა, შესაძლოა იმის შედეგი იყოს, რომ შედარების მრავალჯერი მოთხოვნის შედეგად ცდისპირი ცდილობს უფრო ზუსტად შეაფასოს მოცემული სიდიდეები, რაკი ცდის ხელმძღვანელი არ დაკმაყოფილდა მისი პასუხებით და სულ ახალ-ახალ შედარებას მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, შეფასების ასეთი რხევის დაუბოლოვებელი ხასიათი იმის მაჩვენებელია, რომ კრიტიკულ ცდაში ამ ცდისპირებს სათანადო ფიქსირებული განწყობა არ შემუშავდათ: რხევადი შეფასების სახით გამოვლენილი უსუსტესი განწყობა დაუბოლოვებლად ვერ გამოვლინდებოდა.

3. წარმოსახვით განწყობის შემუშავების კვლევისას დიდ სიძნელეს ქმნის კრიტიკული ცდების შედეგების შეფასებისას შემთხვევები, როდესაც საკონტროლო ცდებში გამოვლენილი ბუნებრივი გადაფასება საგანთა სიდიდის ან სიმძიმის ერთი მიმართულებით (ე. წ. „ბუნებრივი ასიმეტრია“) ემთხვევა კრიტიკულ ცდებშიც იმავე მიმართულებით განწყობის ეული გადაფასების ასიმულატურ გამოვლენას*. საქმე ის არის, რომ აქტუალური აღქმით შემუშავებული ფიქსირებული განწყობის გამოვლენის საპირისპიროდ, რომლისთვისაც უფრო დამახასიათებელია კონტრასტული ეფექტი, წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა უფრო ხშირად ასიმულატურად ვლინდება (თუმცა ხშირად კონტრასტულადაც). ამიტომ, თუ „ბუნებრივ ასიმეტრიასთან“ დამთხვეული ასიმულატური ხასიათის გადაფასება ერთერთ მხარეს არ ატარებს დაუბოლოვებელ ხასიათს, მიიუხედავად, თუ საკონტროლო ცდაშიც ერთ-ერთი მიმართულებით გადაფასება რამდენიმე ექსპოზიციის შემდეგ ტოლ შეფასებაზე გადადის, შეუძლებელი ხდება იმის გამორკვევა, რასთან გვაქვს საქმე — ასიმულატურ ილუზიასთან, ე. ი. ფიქსირებული განწყობის გამოვლენასთან, თუ პირიქით, მხოლოდ ბუნებრივი ასიმეტრიის გამოვლენასთან. სიფრთხილისათვის ჩვენ ასეთი შემთხვევა უარყოფითად შევაფასეთ, ე. ი. ჩავთვალოთ, რომ ფიქსირებული განწყობა ამ შემთხვევაში ვერ შემუშავდა.

4. ზემოთ აღნიშნული „საზოგადოდ სხვაობის განწყობის“ გამოვლენის გარდა ფიქსირებული განწყობის არაგამოკვეთილ, სუსტ გამოვლინებად ჩავთვალოთ კიდევ შემთხვევები, როდესაც საკონტროლო ცდებში, მხოლოდ რამდენიმე ექსპოზიციის გამოვლენილი ბუნებრივი ასიმეტრიის

* როგორც ეს მიღებულია, ფიქსირებული განწყობის კვლევისას საკონტროლო ცდაში გამოვლენილი ასიმეტრიული შეფასების შემდეგ საგანწყობო ცდებში დიდი (resp. მძიმე) საგანი ცდისპირს ეძლევა იმავე მხარეს, სადაც საკონტროლო ცდაშიც საგანი უფრო დიდად (resp. მძიმედ) ეჩვენებოდა. ამიტომ ასიმულატური ილუზია ემთხვევა ბუნებრივ გადაფასებას.

გაძლიერება ხდება კრიტიკულ ცდებში, ე. ი. როდესაც კრიტიკულ ცდებში მხარეს გადაფასება გაცილებით მეტ ექსპოზიციას ანა და „დაუბოლოვებლად“, ე. ი. ცდის დამთავრებამდე (30-ზე მეტ ექსპოზიციასზე) ვრცელდება, ხოლო საკონტროლო ცდებში მხოლოდ რამდენიმე პირველ ექსპოზიციასში ვლინდებოდა, მერე კი ტოლ შეფასებაზე გადადიოდა. ასეთ შედეგებს ჩვენ ვუწოდებთ „ბუნებრივი ასიმეტრიის გაძლიერება“.

5. ფიქსირებული განწყობის ისევ არაგამოკვეთილ, სუსტ გამოვლენად ჩავთვალეთ შემთხვევები, როდესაც კრიტიკულ ცდებში ხდება საკონტროლო ცდაში გამოვლენილი ბუნებრივი ასიმეტრიის დაძლევა, ან ტოლად აღქმის, ან ზემოთ აღწერილი, ხშირი რხევადი შეფასების სახით. მაგალითად, თუ საკონტროლო ცდაში ცდისპირი იძლევა ყველა ექსპოზიციასში ერთი და იმავე მართულებით გადაფასებას, ხოლო კრიტიკულ ცდაში იძლევა ტოლად შეფასებას ანდა მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით გადაფასების სისტემატურ ხშირ რხევას, ცხადია, რომ ასეთი აღქმა საგანწყობო ცდების შედეგია: ამ ცდებში ცდისპირს შეუმუშავდა იმდენად სუსტი ფიქსირებული განწყობა, რომ იმდენად ვერ დაძლია ბუნებრივი ასიმეტრიის ტენდენცია, რომ საწინააღმდეგო მხარეს გადაეფასებინა სიდიდე, მაგრამ იმდენად მაინც დაძლია, რომ მოცემული ტოლი ობიექტები ტოლად ან ყოყმანით—ხან ერთ მხარეს ხან მეორე მხარეს ცოტა უფრო დიდად ეჩვენებინა.

ძლიერი ფიქსირებული განწყობა კი ბუნებრივი ასიმეტრიის შემთხვევაშიც კრიტიკული ცდების დასაწყისში ვლინდება ერთ მხარეს, სახელდობრ, საგნის გადაფასებაში ბუნებრივი ასიმეტრიის საწინააღმდეგო მხარეს.

6. ჩვენს ცდებში, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც თავი იჩინა შემდეგმა მოვლენამ. თუმცა საკონტროლო ცდაში ც. ბ. ტოლ ობიექტებს ადეკვატურად, ე. ი. ტოლად აღიქვამს, მაგრამ კრიტიკულ ცდებში ერთ-ერთ მხარეს დაუბოლოვებელ გადაფასებას იძლევა. ბ. ხაჭაპურიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში საგანწყობო ცდებში შეუმუშავებულმა სუსტმა განწყობამ გამოავლინა „ფარული ბუნებრივი ასიმეტრია“, ე. ი. ეს ილუზიური აღქმა მაინც ბუნებრივი ასიმეტრიის, თუმცა ფიქსირებული განწყობით „გამოვლენილი“ (ე. ი. გაძლიერებული), ასიმეტრიის შედეგია, და ამიტომ გადაფასება დაუბოლოვებელ ხასიათს ატარებს.

მაგრამ რადგანაც არიან ცდისპირები, რომელნიც საგანწყობო ცდების შედეგად იმდენად მტკიცედ ფიქსირებულ განწყობას იმუშავებენ, რომ ილუზიური აღქმა 35 ექსპოზიციის განმავლობაშიც არ წყდება, ამიტომ ჩვენ ასე მოვიქცეთ: თუ ცდისპირი იმავე მოდალობის სხვა ცდაშიც (მაგ. პირველ და მესამე ცდაში, ან მეორე და მეოთხე ცდაში), მიუხედავად იმისა, რომ საგანწყობო ცდაში დიდი (resp. მძიმე) საგანი სხვა მხარეს ეძლეოდა, მაინც ავლენს იმავე ხასიათის (ისევ ასიმილატურს, ან ისევ კონტრასტულ) ილუზიას — ოღონდ ეხლასხვა მხარეს იძლევა გადაფასებას, მაშინ ამ დაუბოლოვებელ გადაფასებას ერთ მხარეს ფიქსირებული განწყობის უძლიერეს გამოვლენად ჩავთვლით.



მაგრამ თუ იმავე მოდალობის მეორე ცდაში, სხვაგვარად
 ბო ცდებში სიდიდის მიმართების შენაცვლების მიუხე-
 დავად, იმავე მხარეს იძლევა დაუსრულებელ გადაფა-
 სებას, მაშინ ეს მოვლენა ბუნებრივი ასიმეტრიის შედე-
 გად ჩავთვალეთ, რომელიც იმდენად სუსტი იყო, რომ
 საკონტროლო ცდებში არ გამოვლინდა. ეს უკანასკნელი შემ-
 თხვევები უარყოფითად ჩავთვალეთ, ე. ი. მივაკუთვნეთ იმ შემთხვევებს, როდესაც
 წარმოდგენით განწყობა ვერ შემუშავდა.

7. დაბოლოს, ცდისპირების უმრავლესობა თუმცა კრიტიკული ცდების და-
 საწყისში ექსპოზიციათა რიგში ზედიზედ იძლევა გარკვეულ გადაფასებას ერთ
 მხარეს, მაგრამ შემდეგ, სანამ გადავიდოდეს ტოლად აღქმაზე, რამდენიმეჯერ
 რამდენიმე ექსპოზიციის მანძილზე იძლევა გადაფასებას ხან ერთ, ხან მეორე
 მხარეს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, უკვე თავს იჩენს ის, რაც ჩვეულებრივ
 ითვლება განწყობის გამოვლინების სტადიებად. მაგრამ რადგანაც წინამდებარე
 გამოკვლევაში ჩვენ განწყობის გამოვლინების სტადიები არ გვინტერესებს, ამ
 მიმართულებით მასალა არ დავგიშვებთ. ასეთი შემთხვევები ჩვენ მივაკუთ-
 ვნეთ ფიქსირებულ განწყობის შემუშავების, გამოკვეთ-
 თილად გამოვლენილ კატეგორიას, ოღონდ იმის მიხედვით,
 რამდენ ექსპოზიციასზე გავრცელდა პირველადი ერთი
 მიმართულებით გადაფასება, ვაკუთვნებთ მას განწყობის
 გამოვლენის სიძლიერის (სიმტკიცის) სხვადასხვა
 საფეხურებს, ისევე როგორც იმ შემთხვევებს, როდესაც ასეთ გადასვლას
 სხვა მხარეს გადაფასებაზე ადგილი არა აქვს და ცდისპირი ერთ მხარეს გადა-
 ფასების შემდეგ პირდაპირ გადადის ადეკვატურ აღქმაზე.

სახელდობრ, ფიქსირებულ განწყობას გარკვეულად გამოკვეთილ ანდა
 „წმინდა“ გამოვლენას მისი სიმტკიცის მიხედვით შემდეგ საფეხურებად ვყოფთ:

1) თუ ილუზია ვრცელდება 2 ექსპოზიციასზე, ამას ვაკუთვნებთ უსუსტეს
 გამოვლენას.

2) 3-დან 5-მდის — „სუსტ“ გამოვლენად, ხოლო თუ ეს მოხდა იმ შემთხ-
 ვევაში, როდესაც ცდისპირმა დაძლია ბუნებრივი ასიმეტრია, ე. ი. გადაფასება
 ასიმეტრიის საწინააღმდეგო მხარეს მოხდა, მაშინ — საშუალო გამოვლენად,

3) 6-დან 14-მდის — „საშუალო“ გამოვლენად, ხოლო ბუნებრივი ასიმეტ-
 რიის დაძლევის შემთხვევაში — ძლიერად;

4) 15-დან 25-მდის — „ძლიერ“ გამოვლენად;

5) 25 ექსპოზიციასზე ზევით — „უძლიერეს“ ან „დაუბოლოვებელ“ გა-
 მოვლენად.

ყველა ამ ხუთ საფეხურს ვთვლით ფიქსირებული განწყობის „გამოკვეთილ“
 ან „წმინდა“ გამოვლენად.

ფიქსირებული განწყობის არა გამოკვეთილი სახის გამოვლენ-
 ებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაკუთვნებთ შემდეგ შემთხვევებს:

1) გადაფასების ხშირ-ხშირ რხევას, როცა ცდისპირი საბოლოოდ ტო-
 ლად აღქმაზე გადადის და როდესაც საკონტროლო ცდებში ობიექ-
 ტებს აფასებდა ტოლად — ამას „სხვაობის ზოგადი განწყობის“

გამოვლენად ვთვლით და ამიტომ განწყობის არაგამოკვეთ მოვლენათა კატეგორიას ვაკუთვნებთ.

2) როდესაც საკონტროლო ცდებში ასიმეტრია, ე. ი. ერთ მხარეს გადაფასება, მხოლოდ რამდენიმე ექსპოზიციაზე ვლინდება, ხოლო კრიტიკულ ცდებში მრავალ ექსპოზიციაზე, ე. ი. სავანწყობო ცდების შედეგად ხდება „ბუნებრივი ასიმეტრიის“ გაძლიერება.

3) როდესაც საკონტროლო ცდებში თავს იჩენს მტკიცე ბუნებრივი ასიმეტრია, ხოლო კრიტიკულ ცდაში ხდება მისი დაძლევა ანტოლობის აღქმის, ანდა ხშირ-ხშირი რხევის სახით.

უარყოფითად ვაფასებთ:

1) კრიტიკულ ობიექტთა ტოლად აღქმას;

2) ბუნებრივ ასიმეტრიასთან დამთხვევას;

3) გადაფასების დაუბოლოვებელ ხშირ-ხშირ რხევას იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო ცდებში ადეკვატური აღქმა გამოვლინდა.

4) სიფრთხილისათვის უარყოფითად შევაფასეთ შემთხვევები, როდესაც კრიტიკულ ცდებში დაუბოლოვებელი ასიმულიაციური ილუზია ემთხვევა საკონტროლო ცდებში გამოვლენილ ბუნებრივ ასიმეტრიას.

ამრიგად, საბოლოო ანგარიშში კრიტიკული ცდების ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი კატეგორიის შედეგებს ცალ-ცალკე შეჯამების გარდა, ვაჯამებთ შემდეგ 3 კატეგორიად:

1. ფიქსირებული განწყობა არ შემუშავდა (3 სახის პასუხები),

2. ფიქსირებული განწყობა გამოვლინდა არაგამოკვეთილ ფორმაში (3 სახის პასუხები),

3. ფიქსირებული განწყობა გამოვლინდა გამოკვეთილ ფორმაში (სიმტკიცის 5 საფეხური).

2

1. ყველა ოთხივე მეთოდით მიღებული შედეგები შეჯამებულია ერთად ცხრილში № 1.

ცხრილის პირველ რუბრიკაში — „უარი“, მოყვანილია იმ ცდისპირების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ დავალებას ვერ ასრულებენ — ვერ წარმოიდგენენ ნათლად დავალებულს: საგნებს ხელში ან მათ აწევას. მათი პასუხები გამოყოფილია ცალკე, რადგანაც ბავშვების ეს განცხადება ყოველთვის როდი ნიშნავდა, რომ ისინი ვერ შეიმუშავებდნენ სათანადო განწყობას. სამწუხაროდ, ექსპერიმენტატორი კმაყოფილდებოდა ამ განცხადებით, ცდას აღარ ატარებდა და არ ცდილობდა სხვადასხვა ხერხით აეძულებინა ამ ბავშვებისათვის დავალების შესრულება.

ცხრილის მეორე რუბრიკაში შეჯამებულია თითოეული სასკოლო კლასის (ასაკის) იმ შემთხვევათა რაოდენობა, როდესაც ამ ცდებში ფიქსირებული განწყობა ვერ შემუშავდა, ე. ი. იმ სამი კატეგორიის პასუხები, რომელიც, როგორც შემთხვევით აღვნიშნეთ, ავლენენ ფიქსირებული განწყობის უქონლობას (იხ. ზემოთ). რიცხვები გამოხატავენ „დაამიან-ცდის“ რაოდენობას: მრიცხველი აღნიშნავს იმ შემთხვევების რაოდენობას, ოთხივე ცდიდან, რომელშიც ფიქსირებული განწყობა ვერ შემუშავდა, ხოლო მნიშვნელი — ჩა-



ტარებულ ცდების საერთო რაოდენობას თითოეული ასაკის (კლასის) ცდისპირებზე. მაგალითად, პირველი კლასის ყველა ცდისპირზე ჩატარებული იყო სულ 54 ცდა, ხოლო აქედან 20 შემთხვევაში ფიქსირებული განწყობა ვერ შემუშავდა. ეს მიმართება გამოხატულია კოეფიციენტით $\frac{20}{54}$, რაც უდრის 37%. ამრიგად, I კლასის ყველა ბავშვზე ჩა-

ტარებული 54 ცდიდან 37%-ის შემთხვევაში ფიქსირებული განწყობა არ შემუშავდა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ბავშვებზე ყველა ოთხივე ცდა არ ჩატარებულა, რადგანაც პირველ ან პირველ ორ ცდაში უარყოფითი შედეგის მიღების შემდეგ ზოგიერთ ბავშვზე დანარჩენი ცდები აღარ ჩატარდა, რაც, როგორც შემდეგში გამოირკვა, შეცდომა იყო, რადგანაც ზრდადამთავრებული ცდისპირებისაგან განსხვავებით, ზოგიერთი ბავშვისათვის III და IV ცდის ამოცანა არ აღმოჩნდა უფრო ძნელი, ვიდრე პირველი ორი ცდის ამოცანა.

მესამე რუბრიკაში — „ფიქსირებული განწყობის ყველა სახის გამოვლინება“ — მრიცხველში მოცემულია იმ ადამიანი-ცდის საერთო რაოდენობა, რომელშიც ასე თუ ისე გამოვლინდა ფიქსირებული განწყობა, ე. ი. როგორც გამოკვეთილად, გარკვეულად განწყობისეული ილუზიის ასიმილაციური ან კონტრასტული გამოვლინება, ისე ის, ზემოთ აღნიშნული, სამი კატეგორიის პასუხებზე, რომელსაც ზემოთ ვუწოდეთ განწყობის არაგამოკვეთილ ფორმაში გამოვლინება (იხ. ზემოთ — „მეთოდი“), ხოლო მნიშვნელში მოცემულია კლასის (ასაკის) ყველა ცდისპირზე ჩატარებული ყველა ცდის რაოდენობა და გამოყვანილია განწყობის გამოვლენის პროცენტი ცდების საერთო რაოდენობიდან.

მეოთხე რუბრიკაში კი მოყვანილია გამოკვეთილად გამოვლინებული ასიმილაციური და კონტრასტული განწყობისეული ილუზიის სიმტკიცის ყველა ხარისხის შემთხვევა, ხოლო შემდეგ ხუთ რუბრიკაში ეს საერთო მაჩვენებელი დაყოფილია განწყობის გამოვლენის ხარისხებად: უსუსტესი, სუსტი, საშუალო, ძლიერი, დაუბოლოვებელი გამოვლინება (იხ. ზემოთ მეთოდი).

პირველი, რაც თვალში გვეცემა № 1 ცხრილის გადახედვისას, ის არის, რომ ზოგი ფსიქოლოგის ვარაუდი, თითქოს წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება ბავშვობის ასაკში უფრო ძლიერი, უფრო გავრცელებული უნდა იყოს, (იხ. ზემოთ) ჩვენს ცდებში სასკოლო ასაკის მიმართ არ გამართლდა. შეიძლება ითქვას, რომ მიღებული მასალის მიხედვით ნებისმიერად წარმოსახულის მიმართ განწყობის შემუშავების უნარი ასაკთან ერთად ოდნავ მატულობს კიდევაც 15 წლამდის, ხოლო 16 წლიდან საოცარი ნახტომის სახით ვითარდება. მართალია, წარმოდგენილ პროცენტებს ზუსტ მნიშვნელობას ვერ მივაწერთ ცდისპირთა მცირე რაოდენობის გამო და, ამავე მიზეზით, მიღებული პროცენტების ალბათობით ღირებულებების გამოანგარიშებასაც არ ექნებოდა აზრი, მაგრამ ერთგვარი, სუსტი, მაგრამ მაინც გარკვეულად გამოვლენილი ტენდენცია ამ უნარის ასაკთან ერთად VIII კლასამდის (14 წლამდის) თანდათანობით მომატებისა მაინც ჩანს (თუ არ ჩავთვლით III კლასს (9 წ.), სადაც იგი მცირედ კლებულობს — ერთგვარ ჩავარდნას იძლევა, წინა და მომდევნო ასაკებთან შედარებით, რაც შესაძლებელია შემთხვევითიც იყოს ცდისპირთა მცირე რაოდენო-

ბის გამო), ხოლო IX კლასიდან — მე-16 წლიდან უდავოდ თავს იჩენს მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, საყოველთაო გავრცელება ამ უნარისა.

ეს საერთო შედეგი მით უფრო დამაჯერებელია, რომ ასაკთან ერთად ფიქსირებული განწყობის შემუშავების მომატებამ თავი იჩინა ფიქსირებული განწყობის როგორც ყველა სახის გამოვლინებაში (იხ. ცხრილის მე-3 რუბრიკა), ისე გამოკვეთილი სახით გამოვლინებაშიც (ცხრილის მე-4 რუბრიკა), ხოლო IX და X კლასელებზე (15—17 წ.) ჩატარებულმა ცდებმა გვაჩვენა დიდი ნახტომი ამ უნარის გავრცელებაში და მნიშვნელოვანი წინსვლაც წარმოსახვით შემუშავებული განწყობის გამოვლენის სიძლიერეში.

ზახგასამელია, რომ ინტერინდივიდუალური სხვაობები წარმოსახვით განწყობის შემუშავების უნარის მხრივ გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ასაკობრივი სხვაობები 14 წლამდის: დაბალ კლასელებს შორისაც არიან ბავშვები, რომელნიც ადვილად იმუშავებენ მტკიცე განწყობას და VI—VIII კლასელებშიც არიან ისეთები, რომელნიც სულ ვერ იმუშავებენ განწყობას ვერც ერთ ცდაში და ისეთებიც, რომლებიც ძნელად და უსუსტეს განწყობას იმუშავებენ (ამას ქვემოთ შევეხებით), მაგრამ 15—17 წლის ასაკში არ აღმოჩნდა არც ერთი ცდისპირი, რომელიც ვერ იმუშავებდეს ფიქსირებულ განწყობას წარმოსახვით.

2. რით შეიძლება აიხსნას ეს მოულოდნელი შედეგი? — წარმოსახვით განწყობის შემუშავების ასაკთან ერთად არა თუ დაკლება, არამედ მცირეოდენი მომატებაც კი, ხოლო გარდამავალი ასაკის ბოლოს მისი საყოველთაო გავრცელება?

საქმე ის არის, რომ ჩვენს ცდებში ცდისპირებს ევალებოდათ იმის წარმოდგენა, რის არარსებობაშიც მათ ეჭვი არ ეპარებოდათ და უკანასკნელ ორ ცდაში (III და IV) რეალურად აღქმულის საწინააღმდეგო მიმართების წარმოდგენა. მაგრამ, როგორც ჩვენ რიგ გამოკვლევათა შედეგად დადგინდა [4, 69—81], ასეთ შემთხვევაში განწყობის შემუშავების ძირითად წამყვან ფაქტორს წარმოადგენს სპეციფიკური აქტიური დამოკიდებულებების ნებისმიერი შექმნა წარმოსახულის მიმართ, რაც საკმაოდ ძლიერ დაძაბვასა და გარკვეულად ნებისყოფის საკმაოდ ინტენსიურ აქტს მოითხოვს, თუ სუბიექტი წარმოსახულის მიმართ სპეციფიკური, ადვილი „შთაგრძნობის“ უნარით არ არის დაჯილდოებული, როგორც სასცენო გარდასახვის უნარის მქონე მსახიობები და თეატრალური ინსტიტუტის ნიჭიერი სტუდენტები. ხოლო ლაბორატორიულ პირობებში, ჩვენი ცდების ამოცანები არ წარმოადგენენ ბავშვისათვის უშუალო ცხოველი ინტერესის საგანს, როგორც ეს ილუზიური თამაშის დროს ხდება, როდესაც წარმოსახულის მიმართ სპეციფიკური აქტიური დამოკიდებულების შექმნა იმპეტუსებად, უნებლიედ ხდება.

თუ ესა ასეა, მაშინ გასაგებია, რომ ასაკთან ერთად, ნებელობის და, საზოგადოდ, ნებისმიერი მოქმედების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო ვრცელდება წარმოსახულის მიმართ ნებისმიერად ამ სპეციფიკური აქტიური

მომართვის შექმნის უნარი, ხოლო 15—16 წლის შემდეგ ნებისმიერი მოქმედების აღმავლობასთან დაკავშირებით, წარმოსახვის განწყობის ნებისმიერი შემუშავების უნარი საყოველთაო გავრცელებას აღწევს, ხოლო 14 წლამდის ცალკეული ერთეული ბავშვები, რომელთაც გააჩნიათ წარმოსახულის მიმართ „შთაბრძნობის“ სპეციფიკური უნარი, ან რომელთაც ანაც ზოგს შესაძლებელია ჩვენს ცდებში უშუალო ინტერესიც გაუჩნდათ დავალებული მოქმედების მიმართ, ადვილად და ძლიერ მტკიცე განწყობასაც იმუშავებენ.

ამრიგად, ვფიქრობთ, როგორც ცდებში დადასტურდა სასკოლო პერიოდში მერვე კლასამდე არარეალურის წარმოსახვით ფიქსირებული განწყობის შემუშავების უნარის საშუალოდ (ცალკე ინდივიდების მონაცემები რომ არ მივიღოთ მხედველობაში) თანდათანობითი გავრცელება, ხოლო 16—17 წლის ასაკში ამ უნარის საყოველთაო გავრცელება ხდება ნებისმიერი მოქმედების ასაკობრივი განვითარების ხარჯზე.

საკმარისია პირველი ცხრილის მხოლოდ გადახედვა, რომ თვალში გვეცეს საოცარი სხვაობა პირველი რვა კლასის მონაცემებსა და უკანასკნელი ორი კლასის მონაცემებს შორის: თუ პირველ შვიდ კლასში ყველა მეთოდით ჩატარებული ცდებიდან წარმოსახვით ფიქსირებული განწყობა ვერ შემუშავდა 30—37% შემთხვევაში, ხოლო VIII კლასში — 25% შემთხვევაში, IX კლასში კი — 40% ცდიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში, რაც 5%-ს შეადგენს. ე. ი. განწყობა შემუშავდა ცდების 95% შემთხვევაში და X კლასში ვერ შემუშავდა 40 ცდიდან 3 შემთხვევაში, რაც 7,5%-ს შეადგენს (ე. ი. განწყობა შემუშავდა ცდების 92,5% შემთხვევაში). ხაზგასასმელია, რომ ეს ერთეული შემთხვევები გამოვლინდა მხოლოდ ზოგ მეთოდში — სახელდობრ IX კლასში ერთხელ არ შემუშავდა განწყობა პირველი მეთოდით ჩატარებულ ცდაში, ისე რომ, იმავე ცდისპირმა დანარჩენი 3 მეთოდით ჩატარებულ ცდაში განწყობა შეიმუშავა, და კიდევ ერთხელ არ შემუშავდა მეორე მეთოდით ჩატარებულ ცდაში, ისე რომ, ამ ცდისპირმაც დანარჩენი 3 მეთოდით ჩატარებულ ცდაში განწყობა შეიმუშავა. ეს გარემოება უდავოდ ამტკიცებს, რომ ეს ორი შემთხვევაც ნამდვილად შემთხვევითია, მით უმეტეს, რომ ორივე ეს მონაცემი ეხება პირველ ცდებს: ერთი — პირველ ცდას პაპტურ სფეროში და მეორე — პირველ ცდას წონის წარმოდგენის სფეროში, როდესაც ცდისპირს ვერ არ ჰქონდა გამოცდილება ცდის ინსტრუქციის შესრულებისა, სრულიად უდავოა, რომ ამ ცდების გამეორებისას იგივე ცდისპირები ამ ცდებშიც განწყობას შეიმუშავებდნენ. როგორც შეიმუშავეს იგი მესამე და მეოთხე მეთოდით ჩატარებულ ცდებში.

ანალოგიური მდგომარეობაა X კლასელ ცდისპირებთანაც: ორმა ცდისპირმა ვერ შეიმუშავა განწყობა ერთ ცდაში და ერთმა — ერთ ცდაში. აქაც აგივე ცდისპირებმა შეიმუშავეს განწყობა დანარჩენი 3 მეთოდით ჩატარებულ ცდებში, ე. ი. მათ გამოამყდენეს გამოკვეთილი უნარი წარმოსახვით განწყობის ნებისმიერი შემუშავებისა. განსხვავება IX

კლასელი ცდისპირების მონაცემებიდან მხოლოდ ის არის, რომ ამ ქრონულ შემთხვევებში X კლასელებმა ვერ შეიმუშავეს განწყობა მეორე და არა პირველ ცდებში — სახელობრ III და IV მეთოდით ჩატარებულ ცდებში, ე. ი. მას შემდეგ, რაც უკვე ჰქონდათ გამოცდილება წარმოსახვით განწყობის შემუშავებისა, ოღონდ არა აქტუალური აღქმის წინააღმდეგობის პირობებში. მაგრამ სამივე ამ პირმა მაინც შეიმუშავა განწყობა აქტუალური აღქმის წინააღმდეგობის პირობებში სხვა მოდალობის ცდაში: ორმა შეიმუშავა სიმძიმის წარმოდგენით სიმძიმის აღქმის საწინააღმდეგოდ (IV ცდა) და ერთმა ჰაბტური წარმოდგენით ჰაბტური აღქმის წინააღმდეგობის პირობებში (III ცდა).

კიდევ მეტი სხვაობა აღმოჩნდა პირველი 8 კლასის ცდისპირებისა და უკანასკნელი 2 კლასის ცდისპირების მონაცემთა შორის წარმოსახვით შემუშავებული განწყობის გამოკვეთილ გამოვლინებაში; თუ პირველ 4 კლასში განწყობის გამოკვეთილ გამოვლინებას ცდისპირები აღწევენ ცდების 35—44% შემთხვევაში, ხოლო V—VIII კლასელი ცდისპირები ცდების ნახევარში (51—54%), IX კლასის ცდისპირები ამას აღწევენ ცდების 82,5%-ის შემთხვევაში (40 ცდიდან 33 ცდაში), X კლასელი ცდისპირები კი ცდების 90%-ის შემთხვევაში (40 ცდიდან 36 ცდაში). არაგამოკვეთილმა გამოვლინებამ მხოლოდ ერთ ცდაში იჩინა თავი. გარდა ამისა IX-და X კლასელები იმუშავებენ უმთავრესად საშუალო და ძლიერ განწყობას და ზოგჯერ უძლიერესს — „დაუბოლოვებელს“. საშუალო და ძლიერი განწყობა მეცხრეკლასელებმა გამოავლინეს 24 ცდაში (40 ცდიდან), ხოლო მეათეკლასელებმა 26 ცდაში (40 ცდიდან), ხოლო „დაუბოლოვებელი“ ფიქსირებული განწყობა მეცხრეკლასელებმა 4 ცდაში და მეათეკლასელებმა — 3 ცდაში. პირველი 8 კლასის ცდისპირები კი, როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ხშირად იძლევიან განწყობის სუსტ გამოვლინებას, ხოლო უძლიერესს („დაუბოლოვებელს“) ან სულ ვერ აღწევენ (III, VI, VII და VIII კლასელები) ან იშვიათ შემთხვევაში (V კლასში 1 შემთხვევა 55 ცდიდან, IV კლასში 2 შემთხვევა 52 ცდიდან და II კლასში — 5 შემთხვევა 58 ცდიდან).

3

ასეთია ზოგადი, ყველა ოთხივე ცდის სუმა რული შედეგი. მაგრამ როგორია ასაკობრივი ცვლილებები თითოეული ტიპის ცდაში? როგორც აღნიშნული გვექონდა, პირველი ორი ცდა მოითხოვდა ხელების უძრავ მდგომარეობაში სათანადო საგნების აღქმის ჰაბტურ და კინესთეტიკურ წარმოდგენას, პირველ ცდაში განსხვავებული სიდიდის ბურთების ჰაბტურ წარმოდგენას, მეორეში კი განსხვავებული სიმძიმის საგნების აწევის კინესთეტიკურ წარმოდგენას). ხოლო ბოლო ორ ცდაში მოეთხოვებოდა აქტიური აღქმის პროცესში აღქმისაგან განსხვავებულის წარმოსახვა. როგორც ჩვენს მრავალ ცდაში გამოირკვა, ზრდადამთავრებულ ადამიანებს ამ ორ უკანასკნელ ცდაში მეტად უძნელდებათ სათანადო თვალსაჩინო წარმოდგენა და ცდისპირების გაცილებით ნაკლები პროცენტი ახერხებს ასეთი (აღქმის საწინააღმდეგო) წარმოდგენით განწყობის შემუშავებას.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა სასკოლო ასაკში? ოთხივე ცდის შედეგები, მიღებული თითოეულ ასაკზე, ცალ-ცალკე, თავმოყრილია ცხრილებში №№ 2, 3 და 4, გვ. 109, 110, 111.

ცხრილში მნიშვნელი ყველგან აღნიშნავს ბავშვების რაოდენობას, რომლებ-



ქართული

ზედაც ჩატარებული იყო ცდა, ხოლო მრიცხველი იმ ბავშვთა რაოდენობას, რომლებზედაც მიღებული იყო სათანადო რუბრიკით აღნიშნული შედეგი. მაგალითად, პირველ კლასში მეორე რუბრიკის პირველი მონაცემი — $\frac{7}{18}$ ნიშნავს, რომ პირველ კლასში 18 ბავშვიდან 7-მა განწყობა ვერ შეიძუშავა.

შევადაროთ ერთმანეთს ამ ცხრილების მონაცემების მიხედვით I და III კლასისა და აგრეთვე II და IV კლასის შედეგები, ე. ი. შევადაროთ წარმოდგენის განმაწყობელი მოქმედება ერთ შემთხვევაში საწინააღმდეგო აღქმის გარეშე (I და II კლასი) და მეორე შემთხვევაში (II და IV კლასი) იმავე მოდალობის განსხვავებული შინაარსის აქტუალური აღქმის პირობებში. უფრო კონკრეტულად: შევადაროთ პირველი კლასის, ე. ი. განსხვავებული სიდიდის ბურთების ჰაბტური წარმოდგენის შედეგები მესამე კლასის შედეგებთან, ე. ი. იმავე ბურთების განსხვავებული სიდიდის ისევ ჰაბტური წარმოდგენის შედეგებთან, როდესაც ამ წარმოდგენას ეწინააღმდეგება ტოლი ბურთების აქტუალური აღქმა. მეორეს მხრივ, შევადაროთ ერთმანეთს მეორე კლასის, ე. ი. განსხვავებული წონის აწევის კინესთეტიკური წარმოდგენის შედეგები მეოთხე კლასის ისევ განსხვავებული წონის კინესთეტიკური წარმოდგენის შედეგებს, როდესაც ამ წარმოდგენას ეწინააღმდეგება რეალურად მოცემული ტოლი სიმძიმეების აქტუალური აღქმა.

ამ შედარებიდან სრულიად ნათელი ხდება სასკოლო ასაკის ბავშვების მონაცემების (მეტადრე დაწყებითი სკოლის პერიოდში) დიდი განსხვავება ზრდამთავრებულებთან შედარებით. თუ უკანასკნელთათვის დამახასიათებელია აქტუალური აღქმის წინააღმდეგობის პირობებში (ე. ი. მესამე და მეოთხე მეთოდით ჩატარებულ ცდებში) გაცილებით უფრო იშვიათი აღმოცენება განწყობისა, ვიდრე აღქმის წინააღმდეგობის გარეშე (ე. ი. ვიდრე პირველ და მეორე მეთოდში), ასეთი რამ სასკოლო ასაკის ბავშვებს ზოგადად არ ახასიათებს ცდების ამ ორკატეგორიას შორის დიდ განსხვავებას საერთოდ არა აქვს ადგილი და ზოგჯერ, პირიქითაც, აღქმის წინააღმდეგობის პირობებში ზოგ ბავშვს უფრო ხშირად უმუშავდებათ განწყობა, ვიდრე საწინააღმდეგო აღქმის გარეშე, მეტადრე ტოლი სიმძიმეების რეალური აწევისას (მეოთხე კლასი) განსხვავებული სიმძიმეების წარმოდგენისას, ვიდრე ხელების უძრავ მდომარეობაში განსხვავებული სიმძიმეების აწევის წარმოდგენისას (მეორე კლასი).

მართლაც, როგორც ვხედავთ, 15 მეორეკლასელიდან განწყობის ყველა სახის გამოვლინება მეორე კლასში დადასტურდა 8 ბავშვთან, მეოთხე კლასში კი 13 ბავშვიდან 10-თან, ხოლო გამოკვეთილი განწყობისეული ილუზია მეორე კლასში 15-დან გამოვლინდა 5 ბავშვთან, მეოთხე კლასში კი 13-დან 7 ბავშვთან.

10 მეოთხეკლასელიდან მეორე კლასში განწყობის ყველა სახე გამოვლინდა 6 ბავშვთან, მეოთხე კლასში კი 14 ბავშვიდან 10-თან, ხოლო მკვეთრ განწყობისეულ ილუზიას მეორე კლასში ადგილი ჰქონდა 10 ბავშვიდან 4-თან, ხოლო მეოთხე კლასში 14 ბავშვიდან 9-თან.

მეექვსე კლასში განწყობა გამოკვეთილად გამოვლინდა მეორე ცდაში 6-თან, ხოლო მესამე ცდაში 14-დან 7-თან.

როგორც ვხედავთ, ცხრილიდან I, III, V და VIII კლასებში მეორე და მეოთხე ცდის შედეგები დაახლოებით ერთნაირია, ხოლო მეშვიდე კლასში მეოთხე ცდაში განწყობის შემუშავება უფრო იშვიათია, ვიდრე მეორე ცდაში.

რაც შეეხება IX და X კლასებს (სადაც იშვიათი ერთეული გამოჩაჩისების გარდა, მოზარდები ყველა ცდაში იმუშაებენ განწყობას), აქ არსებითი განსხვავება ცდების ამ ვარიანტებს შორის არ ჩანს, ისე რომ, ამ მხრივ ამ ასაკის მოზარდებიც არსებითად განსხვავდებიან ზრდადამთავრებულებისაგან. სახელდობრ, ერთმა მეცხრეკლასელმა ვერ შეიმუშავა განწყობა მხოლოდ პირველ ცდაში და ერთმა მხოლოდ მეორე ცდაში; ხოლო აღქმის საწინააღმდეგო წარმოდგენის ორივე ცდაში (ე. ი. III და IV ცდაში) ყველა მუკლებლივ შეიმუშავა. რაც შეეხება პირველ შედეგს, იგი შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ პირველ ცდაში ცდისპირი ჯერ ვერ შეეგუა სიტუაციას, ვერ დაეუფლა დავალბებულ მოქმედებას.

მეთექვსე კლასებიდან კი პირიქით, ერთმა ბავშვმა ვერ შეიმუშავა განწყობა IV ცდაში და ორმა III-ში, ე. ი. ამ ცდებში, სადაც წარმოსახული უპირისპირდებოდა აქტუალურ აღქმას, ხოლო პირველ ორ ცდაში ყველა მუკლებლივ შეიმუშავა განწყობა. ყოველ შემთხვევაში, ეს შედეგიც ამჟღავნებს ამ ასაკის მოზარდებში აღქმულის საწინააღმდეგო წარმოდგენით განწყობის შემუშავების უნარის მეტ გავრცელებას, ვიდრე ის დამახასიათებელია ზრდადამთავრებულებისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წარმოსახვით შემუშავებული განწყობის სიძლიერის მხრივაც, როგორც ეს ჩანს ცხრილიდან, 15—17 წლიანებში არ ვლინდება გარკვეული კანონზომიერი განსხვავება ცდების ამ ვარიანტებს შორის, ე. ი. აღქმის წინააღმდეგობის შემთხვევაში და ასეთი წინააღმდეგობის გარეშე: ერთეულებში გამოხატული უმნიშვნელოდ მეტი სისწირე უფრო ძლიერი განწყობისა ხან ცდის პირველ ხან მეორე ვარიანტებში ვლინდება.

რაც შეეხება პირველ 8 კლასს, პაპტურ სფეროში, როგორც ჩანს ცხრილიდან, აღქმის წინააღმდეგობის შემთხვევაში, ე. ი. III ცდაში განწყობის შემუშავების მეტი სისწირე უფრო იშვიათია, ვიდრე I ცდაში, ვიდრე ტვირთის აწევვის წარმოდგენის ცდებში და უფრო ხშირია ნაკლები გავრცელებულობაც კი. როგორც ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ III ცდაში ბურთების პაპტური აღქმისას მოტორული აქტივობა ნაკლებია ვიდრე IV ცდაში (იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პირველ 5 კლასში თითოეული კლასის ცდისპირებს შორის 2—3 ბავშვი და VII კლასში ერთი ცდისპირი უფრო ძლიერ (მტკიცე) განწყობას იმუშაებებს IV ცდაში, ვიდრე II-ში, ზოგი — III ცდაში, ვიდრე I-ში; გვხვდებიან ერთეულები, რომლებმაც მხოლოდ IV ცდაში შეიმუშავეს ფიქსირებული განწყობა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს, ერთი შეხედვით უცნაური შედეგი — როგორ შეიძლება უფრო ადვილად მუშავდებოდეს წარმოდგენის საფუძველზე განწყობა, როცა წარმოსახული ეწინააღმდეგება რეალურად აღქმულს, ვიდრე მაშინ, როდესაც მას არ ეწინააღმდეგება აქტუალური აღქმა?

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ის რეალური



მოქმედება, რომელსაც ასრულებს ცდისპირი III და განსაკუთრებით IV ცდაში: თუ პირველ ორ ცდაში მაგიდაზე ხელის გულით უძრავად დაწყობილი ხელები მეტად უშლიან ბავშვს წარმოიდგინოს გადმობრუნებული ხელებით ბურთების ჰაბტური აღქმა, ან სიმძიმეების აწევა ზონრებით, III ცდაში კი ის რეალურად კიდებს ხელს და ჰაბტურად აღიქვამს ბურთებს, თუმცა განსხვავებული მოცულობის მიმართებით, ვიდრე წარმოიდგენს, მაგრამ მაინც სათანადო მოქმედებას ასრულებს, განსაკუთრებით IV ცდაში, სადაც რეალურად სწევს ორივე ხელით ზონრებით ორ საგანს. როგორც ჩანს, ამ მოქმედების რეალური შესრულებისას ბავშვებისათვის უფრო ადვილია აღქმული შინაარსის წარმოსახვით შეცვლა (ერთი აღქმული ბურთის სიდიდის გაზვიადებულად წარმოდგენა ან ერთი ხელით აწეული სიმძიმის გაზვიადებულად წარმოდგენა), ვიდრე სათანადო წარმოდგენის შექმნა ხელების შეუფერებელ მდგომარეობაში უძრავად გაჩერების შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ მსახიობებს შორისაც გვხვდებოდა ისეთი ცდისპირები, რომელნიც IV სახის ცდაში უფრო ადვილად იმუშავებდნენ განწყობას, რადგანაც ხელების ნებისმიერად განსხვავებული დაჭიმვით სწევდნენ ობიექტურად ტოლ სიმძიმეებს.

